



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: კრიმინალისტკური ტექნიკის როლი და მნიშვნელობა დანაშაულის
გახსნის საქმეში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

თენგიზ პეტრიაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია-----	3
Annoticion-----	4
შესავალი-----	5
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა-----	6
თავი II. კრიმინალისტიკის განვითარების ისტორია, კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნება, როლი და მნიშვნელობა.-----	8
2.1. კრიმინალისტიკის განვითარების ისტორია-----	8
2.2. კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნება, როლი და მნიშვნელობა-----	10
თავი III. დანაშაულის გამოძიების პროცესში კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის გამოყენება-----	15
3.1. კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის როლი, მნიშვნელობა, სახეები და გამოყენების წესი-----	15
3.2. საგამოძიებო ფოტოგრაფიის სახეები-----	17
თავი IV. კრიმინალისტიკური ტრასოლოგიის როლი და მნიშვნელობა დანაშაულის გახსნის საქმეში, კვალთა კლასიპიკაცია-----	21
4.1. ტრასოლოგიის ცნება და კვალთა კლასიპიკაცია-----	21
4.2. ხელის (დაქტილოსკოპია) და ფეხის კვალი-----	22
4.3 კბილის კვალი და სხვადასხვა სახის კვალი, როგორც ტრასოლოგიური გამოკვლევის ობიექტი-----	26
თავი V. დოკუმენტებისა და ხელნაწერების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის თავისებურებანი-----	31
5.1. დოკუმენტში ნაწილობრივი ცვლილების შეტანისა და გაყალბების ზოგიერთი თავისებურება-----	31
5.2. დამწვარი და დახეული დოკუმენტების აღდგენა. ბეჭდებისა და შტამპების გამოკვლევა-----	33

5.3. ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის ზოგადი მეთოდика-----	
35	
5.4. ხელნაწერებისა და ხელმოწერების კვლევის ზოგადი დახასიათება-----	
36	
თავი VI. კრიმინალისტიკური რეგისტრაცია-----	39
6.1. კრიმინალისტიკური რეგისტრაციის არსი და მნიშვნელობა-----	
39	
6.2.კრიმინალისტიკური რეგისტრაციის სახეები-----	43
თავი VII. მტკიცებულების სახით პოლიგრაფის და ოდოროლოგიის გამოყენების პრობლემა-----	48
7.1. პოლიგრაფი-----	48
7.2. ოდოროლოგია-----	54
თავი VIII. კვლევის შედეგები-----	59
დასკვნა-----	61
გამოყენებული ლიტერატურა-----	62

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება კრიმინალისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს - კრიმინალისტიკური ტექნიკა. თემა შედგება: შესავლისაგან, რვა თავისაგან, თოთხმეტი ქვეთავისაგან და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

პირველ თავში განხილული მაქვს ის ლიტერატურა, რომელიც გამოვიყენე თემაზე მუშაობის დროს.

მეორე თავის პირველი ქვეთავი შეეხება კრიმინალისტიკის განვითარების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას. მეორე ქვეთავში საუბარია კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნებაზე, როლზე და მნიშვნელობაზე.

მესამე თავი შეეხება დანაშაულის გამოძიების პროცესში კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის გამოყენებას.

მეოთხე თავი დათმობილი აქვს კრიმინალისტიკური ტრასოლოგიის როლს და მნიშვნელობას დანაშაულის გახსნის საქმეში.

მეხუთე თავში საუბარია დოკუმენტებისა და ხელნაწერების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის თავისებურებებზე.

მეექვსე თავი დათმობილი აქვს კრიმინალიტიკური რეგისტრაციას.

მეშვიდე თავში განხილულია მტკიცებულების სახით პოლიგრაფის და ოდოროლოგიის გამოყენების პრობლემა.

მერვე თავი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგებს.

დასკვნაში შეჯამებული მაქვს, ჩემს მიერ თემაში განხილული საკითხები.

Annotation

A master's thesis deals with one of the most important fields of criminology - forensic techniques. The theme consists of an introduction, eight chapters, fourteen chapters, and a conclusion, together with a list of used literature.

In the first chapter, I discuss the literature that I used while I was working on the subject. The first subchapter of Chapter 2 deals with a brief historical overview of the development of criminology.

The second section deals with the notion, role and importance of forensic techniques.

The third chapter deals with the use of forensic photography in the investigation of crime.

The fourth chapter is devoted to the role and importance of criminal forensics in the opening up of crime.

Chapter Five deals with the peculiarities of the forensic examination of documents and manuscripts.

The sixth chapter is devoted to criminal registration.

The seventh chapter discusses the problem of using polygraph and odorology as evidence.

The eighth chapter is devoted to the results of the master thesis research.

In conclusion I have summarized the issues I have discussed in the topic.

შესავალი

კრიმინალისტიკაში სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვებაში, ფიქსაციაში და ამოღებაში. კრიმინალისტიკაში ცალკე მიმართულებად გამოიყოფა კრიმინალისტიკური ტექნიკა, რადგან კრიმინალისტების მიერ კვალის აღმოჩენის და ფიქსაციისათვის საერთო დანიშნულების ტექნიკის გარდა შეიმუშავენ ისეთ ტექნიკურ საშუალებებს რომლებიც გამოიყენება მხოლოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

თემის აქტუალურობა. სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის პირობებში დამნაშავეთა მიერ დანაშულის ჩადენა სხვადასხვა ახალი ტექნიკური საშუალებების დახმარებით ხდება, რომელიც უფრო ართულებს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებას, ფიქსაციას და ამოღებას, აქედან გამომდინარე სამართალდამცავი ორგანოების სპეციალურმა სამსახურებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ თანამედროვე კრიმინალისტიკური ტექნიკის ახლი მიღწევების შესწავლას და მათ დანერგვას დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ.

თემის მიზანი. ნაშრომის მიზანია სრულყოფილად წარმოაჩინოს კრიმინალისტიკური ტექნიკის, მტკიცებულებების ფიქსაციის და ამოღების იმ საშუალებების როლი და მნიშვნელობა რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მტკიცებულებების ან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში.

თემის ამოცანა. ნაშრომის ამოცანაა დეტალურად იქნას განხილული კრიმინალისტიკური ტექნიკის, კვალთა ფიქსაციის და ამოღების ტაქტიკური ხერხები და მეთოდები, რომელიც

გამოყენება დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვებისას და დანაშაულის პრევენციისას.

კვლევის მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომში საკვლევ თემაზე მუშაობისას ჩემს მიერ გამოყენებული იქნა - ისტორიული მეთოდი - რომელიც გამოვიყენე კრიმინალისტიკის განვითარების ისტორიის და კრიმინალისტიკური ტექნიკის განვითარების ისტორიაზე საუბრისას; გაანალიზების მეთოდი - რომელიც გამოვიყენე მტკიცებულებების სანდოობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას; შედარებით მეთოდი - რომელიც გამოვიყენე ტექნიკური საშუალებების და მათი გამოყენების ტაქტიკურ ხერხებზე საუბრისას და ნორმატიული მეთოდი - რომელიც გამოვიყენე ტექნიკური საშუალებების და ტაქტიკური ხერხების სამართლებრივ საფუძვლებზე საუბრისას.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილ საკვლევლევ თემაში მიზნებსა და ამოცანებში წამოყენებული საკითხების გაანალიზებისათვის გამოყენებული იქნა არაერთი მეცნიერის შეხედულება კრიმინალისტიკური ტექნიკის როლზე დანაშაულთან ბრძოლაში.

ნაშრომის მეორე თავი დათმობილი აქვს კრიმინალისტიკის, როგორც მეცნიერების ცალკე დარგის განვითარების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას და კრიმინალისტიკური ტექნიკის როლს და მნიშვნელობას დანაშაულთან ბრძოლაში. ხსენებული საკითხების განხილვისას ჩემს მიერ დამუშავებული იქნა არაერთი მონოგრაფიული (სახელმძღვანელო) ნაშრომი როგორც კრიმინალისტიკაში ასევე სისხლის სამართლის პროცესში, ისეთი მეცნიერების, როგორებიც არიან - შ. ფაფიაშვილი; ნ.გოგნიაშვილი; რ. გოგშელიძე და ა. ფალიაშვილი; ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი და სხვები. რომელთა მოსაზრებების საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია კრიმინალისტიკური ტექნიკის როლი, მნიშვნელობა და სამართლებრივი საფუძვლები დანაშაულთან ბრძოლაში.

თემის მესამე თავის დამუშავებისას - დანაშაულის გამოძიების პროცესში კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის გამოყენება, სადაც საუბარია ფოტოგრაფიის როგორც, ტექნიკური ხასიათის საკითხებზე მისი გამოყენების გამოძიების პროცესში ასევე, ფოტოგრაფიის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებზეც, ვიხელმძღვანელებ - შ.ფაფიაშვილის; გ. თუმანიშვილის; რ. გოგშელიძეს და ა. ფალიაშვილის; შ. ფიცხელაურის მიერ კრიმინალისტიკაში ფოტოგრაფიის გამოყენებასთან დაკავშირებული მოსაზრებები, როგორც ტექნიკური ასევე, ტაქტიკური ხერხების და სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებული დამუშავებული მასალა.

თემის მეოთხე თავი შეეხებოდა კრიმინალისტიკური ტრასოლოგიის როლს და მნიშვნელობას დანაშაულის გახსნის საქმეში. ამ თავში განხილულია ისეთი საკითხები როგორცაა: ხელის და ფეხის კვალი, კბილის და ფრჩხილის კვალი, მიკროკვალი და მიკრონაწილაკები, ასევე, დნმ-ი - ვიხელმძღვანელებ როგორც სამამულო ასევე უცხოური ლიტერატურით - შ.ფაფიაშვილის მიერ დამუშავებული მონოგრაფიული და სახელმძღვანელო შრომებით ხელის კვალთან და ამ თავში განხილულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, გამოვიყენე - ი.გ. გალდინის მონოგრაფია, რომელიც შეეხებოდა დაქტილოსკოპიას; რ.გოგმელიძეს და ა.ფალიაშვილის სახელმძღვანელო ლიტერატურა კრიმინალისტიკაში, რომელშიც განხილულია, ხსენებული თავში დამუშავებული არა ერთი საკითხი. დნმ-ზე საუბრისას, უმეტესი რესურსი მივიძიე ინტერნეტის მეშვეობით.

მეხუთე - დოკუმენტებისა და ხელნაწერების ტექნიკურ - კრიმინალისტიკური გამოკვლევის თავისებურებანი და მეექვსე - კრიმინალისტიკური რეგისტრაცია - თავების დამუშავებისას, ზემოთ ხსენებული ავტორების გარდა გამოვიყენე - მ.ლომსაძის მონოგრაფიული შრომები, სისხლის სამართლის პროცესი, მე-6 გამოცემა და ექსპერტიზის დანისვნის საფუძველი, სახეები და ექსპერტის წინაშე დასასმელი კითხვები გამოძიების პროცესში. ასევე, გამოყენებული მაქვს საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“

მეშვიდე თავზე მუშაობისას - მტკიცებულების სახით პოლიგრაფის და ოდოროლოგიის გამოყენების პრობლემა, ჩემს მიერ ძირითადად გამოყენებული იქნა - შ.ფაფიაშვილის სახელმძღვანელო კრიმინალისტიკაში; შ.ფიცხელაურის მონოგრაფია სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში; ს.ჭელიძეს და ნ.თევდორაძეს, სამეცნიერო სტატია „პოლოგრაფი“-ს გამოყენების პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში; ი. ჩხეიძეს, მონოგრაფია მტკიცებულებათა და დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში; დ.ხობელიას, სამეცნიერო სტატია, ოდოროლოგია, როგორც დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების არატრადიციული საშუალება და ინტერნეტ რესურსები ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

თავი II. კრიმინალისტიკის განვითარების ისტორია, კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნება, როლი და მნიშვნელობა

2.1. კრიმინალისტიკის განვითარების ისტორია

თანამედროვე პირობებში კრიმინალისტიკა, დგას რა გამოძიების და სასამართლო ორგანოების სამსახურში, ხელს უწყობს იმას, რომ ყოველი ჩადენილი დანაშაული გაიხსნას სრულად, ობიექტურად და საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება.¹

კრიმინალისტიკა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დასაწყისში, მისი ფუძემდებელია ავსტრიელი კრიმინალისტი ჰანს გროსი. არასწორი იქნებოდა გვეთქვა რომ მე-19 საუკუნემდე კრიმინალისტიკური მეცნიერება არ არსებობდა. მანამდე ხდებოდა, პიროვნების იდენტიფიკაცია თითის ანაბეჭდების მიხედვით, ხელნაწერების გამოკვლევა პიროვნების დადგენის მიზნით, პიროვნების იდენტიფიკაცია გარეგნობის მიხედვით და სხვა.

ტერმინი „კრიმინალისტიკა“ ლათინური სიტყვაა „criminals“ და ნიშნავს დანაშაულის გახსნას, მეცნიერებას რომელიც მოწოდებულია დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. კრიმინალისტიკა, კანონის ზუსტი და განუხრელი დაცვის საფუძველზე, გამოიყენებს მეცნიერულად დამუშავებულ ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებს და დანაშაულის გამოძიების რეკომენდაციებს, რათა ხელი შეუწყოს კანონების და მართლწესრიგის განუხრელ დაცვას, დამნაშავეობის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლას.²

¹შ.ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, გამომც. „ნეკერი“ თბ., 1995, გვ. 5

²ნ.გოგნიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 2012, გვ. 7

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში კრიმინალისტიკის კურსის სისტემა შედგებოდა ორი ნაწილისგან: კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტაქტიკისაგან; 30-იანი წლების ბოლოდან 50-იან წლებამდე მასში გამოყვეს. 1. საერთო ნაწილი, რომელშიც განიხილებოდა კრიმინალისტიკის ტექნიკა და საგამომიებო ტაქტიკა და 2. განსაკუთრებული ნაწილი, რომელშიც აისახა დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგია; 1955 წ-დან კურსის სისტემა მოიცავდა შესავალს კრიმინალისტიკაში, საერთო და განსაკუთრებულ ნაწილებს. 75-80-იან წლებში ჩამოყალიბდა ოთხნაწილიანი სისტემა 1. კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია, 2. კრიმინალისტიკური ტექნიკა, 3. საგამომიებო ტაქტიკა, 4. დანაშაულის ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდოლოგია; ტექნიკური პროგრესის პირობებში, 90-იანი წლების ბოლოს წარმოიქმნა დანაშაულთან ბრძოლის საკითხების გადახედვის საჭიროება, რის შემდეგაც მივიღეთ ხუთნაწილიანი სისტემა: 1. შესავალი კრიმინალისტიკაში, 2. კრიმინალისტიკური ტექნიკა, 3. საგამომიებო ტაქტიკა, 4. დანაშაულის გამოძიების და გახსნის ორგანიზება, 5. დანაშაულის ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდოლოგია;

კრიმინალისტიკის ამოცანა გამომდინარეობს და შეესაბამება სისხლის სამართალწარმოების ამოცანებს, დანაშაულის სწრაფ და სრულ გახსნას, დამნაშავეთა მხილებას, და კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფას, რათა თითოეული დამნაშავე სამართლიანად დაისაჯოს და არცერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავდებული, დაიცვას ეჭმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული და სისხლის სამართლის პროცესის ყველა სხვა მონაწილის უფლება და თავისუფლება.

კრიმინალისტიკისათვის დამახასიათებელია შემეცნების ისეთი ობიექტი, რომელიც ადგენს და განსაზღვრავს კვალთა და მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირების, ამოღების და გამოკვლევის კრიმინალისტიკურ კანონზომიერებს, საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკური ხერხების კანონზომიერებებს. კრიმინალისტიკური საშვალეები, როგორც კრიმინალისტიკის შესწავლის საგანი, ისეთი ტექნიკური ხასიათის მეთოდების შემუშავებაა, რომელიც საშვალეებს გვაძლევს აღმოვაჩინოთ უხილავი და ნაკლებად ხილვადი სხვადასხვა ხასიათის კვალი, მოვახდინოთ ამ კვალთა და მტკიცებულებათა ზუსტი, ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური ფიქსირება, მათი ამოღება და გამოკვლევა საექსპერტო დაწესებულებაში.

კრიმინალისტიკის ცნებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები: იგი არის სპეციალური სამართლებრივი მეცნიერება: ადგენს და სწავლობს იმ კანონზომიერებებს, რაც დაკავშირებულია კვალთა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენასთან, ფიქსირებასთან,

გამოკვლევასა და გამოყენებასთან. სწავლობს ტექნიკური საშვალებების, ტაქტიკური ხერხების გამოყენებისა და ცალკეული დანაშაულის გამოძიების მეთოდის კანონზომიერებს.³

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ კრიმინალისტიკა არის სპეციალური იურიდიული მეცნიერება, რომელიც საპროცესო ნორმების საფუძველზე სწავლობს კვალთა და სხვა მტკიცებულებათა ეფექტური აღმოჩენის, ფიქსირების, გამოკვლევისა დაგამოყენების კანონზომიერებებს, აგრეთვე ტექნიკურ საშვალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და ცალკეული დანაშაულის გამოძიების მეთოდის, დანაშაულის ორგანიზებულად, მიზანსწრაფულად გახსნის, მისი აცილებისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

2.2. კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნება, როლი და მნიშვნელობა

კრიმინალისტიკური ტექნიკა კრიმინალისტიკის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგია, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე შეიმუშავებს და გამოიყენებს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ხერხებსა და მეთოდებს მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირების, ამოღებისა და მათი გამოკვლევისათვის, დანაშაულის თავიდან აცილებისა და დანაშაული სწრაფად გაიხსნისათვის⁴.

კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნებაში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილებისათვის კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების ერთიანი სისტემა.⁵

კრიმინალისტიკური ტექნიკა შეისწავლის შემდეგ საკითხებს:

1. კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია;
2. ტრასოლოგია (ტრასოლოგია [ფრანგ. trace კვალი და ბერძ. logos მოძღვრება] - კრიმინალისტიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს დანაშაულის მიერ დანაშაულის ადგილზე დატოვებულ კვალს);
3. კრიმინალისტიკური ბალისტიკა;
4. სიტყვიერი პორტრეტი;
5. ხელნაწერების გამოკვლევა;

³რ.გოგშელიძე, ა.ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2009, გვ.107

⁴რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2009, გვ. 107

⁵შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2010, გვ. 113

6. კრიმინალისტიკური რეგისტრაცია;

7. დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა.⁶

კრიმინალისტიკური ტექნიკის უმთავრესი მიზანია მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით შექმნას და პრაქტიკაში დანერგოს დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნისა და თავიდან აცილების შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები მტკიცებულებათა აღმოჩენის, მატერიალური კვალის გამოვლინება-დამუშავებისა და მტკიცებულებათა გამოკვლევისათვის და ყოველივე ამით დროულად მივიღოთ სრული, ამომწურავი ინფორმაცია დანაშაულის ჩამდენი პირის და მასში მონაწილე პირების შესახებ, დანაშაულის ჩადენის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების, ხერხების, მეთოდებისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მთავარი ფაქტებისა და სხვა გარემოებათა შესახებ.⁷

კრიმინალისტიკურ-ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნება ყველა ის ხელსაწყო, აპარატურა, ხმის ჩამწერი საშუალებები, საინფორმაციო მასალები, რომლებიც გამოიყენება მტკიცებულებათა მისაღებად, მათი კრიმინალისტიკური გამოკვლევისათვის, დანაშაულის თავიდან აცილებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ეფექტური განხორციელებისათვის.⁸

დანაშაულის თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის მიზნით, კრიმინალისტიკური ტექნიკა შეიმუშავებს კონკრეტულ წინადადებებსა და ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ქონების დაცვას, შესაბამის სასიგნალიზაციო სისტემის შექმნას საცავების გადალახვისა და შემტვრევის თავიდან აცილებას დოკუმენტებისა და ფასიანი ქაღალდების გაყალბების გამორიცხვას სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებას საკეტების კონსტრუქციის გაუმჯობესებასა და სხვ.

პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ წინადადებას შეიმუშავებს:

უშუალოდ გამოძიების ორგანოები⁹:

ოპერატიულ-სამძებრო სამსახური¹⁰,

აგრეთვე ექსპერტი - კრიმინალისტიკური გამოკვლევის ჩატარების საფუძველზე და პრაქტიკის განზოგადების შედეგად.

ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის გაუმჯობესების მიზნით კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებები, ხერხები, მეთოდები გამოიყენება იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილი და

⁶ <http://myadvokat.ge/ახდენს-თუ-არა-კრიმინალისტიკა-გავლენას-დანაშაულის-პრევენციაზე>

⁷ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2010, გვ. 118

⁸ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 107

⁹ ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ.; თბ., 2015, გვ. 330

¹⁰ საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, 1999

ავტომატიზებული იქნეს საინფორმაციო ბანკის მუშაობა კვალთა, საგანთა, დანაშაულის ჩადენის ხერხების, პიროვნების, გარეგნობის ნიშნების, გვამებისა და უგზო-უკლოდ დაკარგულ პირთა რეგისტრაცია.

კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების გამოყენების ძირითად სუბიექტებს მიეკუთვნებიან ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მუშაკები, გამომძიებელი, პროკურორი, ექსპერტი.¹¹

კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების გამოყენების დარგებს მიეკუთვნება: ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მოღვაწეობა, საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება, სასამართლოში საქმის განხილვა (მტკიცებულებათა დემონსტრირება და დაკითხვის ფიქსირება).

კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენება გულისხმობს ისეთი აპარატურისა და ხელსაწყოების გამოყენებას, რომლებიც საერთო დანიშნულებისაა. მაგალითად, ავტომანქანა, ფოტო-ვიდეო აპარატურა, მაგნიტოფონი და ა. შ. ზოგ შემთხვევაში საერთო დანიშნულების აპარატურა გადამუშავდება დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. მაგალითად, ჩვეულებრივი ავტომანქანა გადაკეთდება და აღიჭურვება კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებებით და იგი გამოიყენება სპეციალური დანიშნულებით (შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და მისი ფიქსირებისათვის, კვალთა ამოღებისათვის და ა.შ.). და ბოლოს, კრიმინალისტიკური ტექნიკა შეიმუშავებს და ნერგავს ისეთ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის; მაგალითად, ალუმინის, ბრინჯაოს, გრაფიტის ფხვნილები თითის ანაბეჭდების გამოსამჟღავნებლად, დაქტილოფირი გამომჟღავნებელი თითის ანაბეჭდის გადასატანად და ა.შ.

კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების შემუშავებას ყოველთვის წინ უსწრებს სხვა დარგის მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესწავლა, საგამომძიებო და საექსპერტო პრაქტიკის განზოგადება. კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების შემუშავება საშუალებას გვაძლევს საგამომძიებო და საექსპერტო პრაქტიკაში გამოვიყენოთ ისეთი მეთოდი, როგორცაა: ფიზიკური, ქიმიური, ფოტოგრაფიული, მათემატიკური და ა.შ.

კრიმინალისტიკური ტექნიკა, როგორც კრიმინალისტიკის დამოუკიდებელი დარგი, შეისწავლის შემდეგ საკითხებს: კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია, ტრასოლოგია, კრიმინალისტიკურია ბალისტიკა, დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა, ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა, პიროვნების გაიგივება გარეგნობის ნიშანთა მიხედვით (სიტყვიერი პორტრეტი), სისხლისსამართლებრივი რეგისტრაცია (კრიმინალისტიკური

¹¹ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 108

აღრიცხვა).¹² უკანასკნელ პერიოდში კრიმინალისტიკური ტექნიკის ცალკეული დარგების თანამედროვე მიღწევების ფართოდ გამოიყენება არა მარტო დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასადგენად, არამედ დანაშაულის თავიდან აცილებისათვისაც.¹³

ტექნიკური საშუალებები, უფრო სწორედ, ის ცოდნა, რომელიც დღევანდელ პირობებში საჭიროა თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებისთვის, ჩაუხედავი ადამიანისთვისაც იოლად გასაგები და ასათვისებელი ხდება. სპეციალური ცოდნის გარეშე უკვე შესაძლებელია ამა თუ იმ სახის იდენტიფიცირების ჩატარება, ამიტომ მომავალში ექსპერტიზის ჩატარებას არამცთუ ექსპერტ-კრიმინალისტი, არამედ უბრალო ტექნიკური საშუალების ოპერატორიც კი შეძლებს. მაგალითისათვის, პიროვნების დნმ-ის იდენტიფიცირებას არ დასჭირდება ბიოლოგის განათლება, რადგან იდენტიფიცირების პროცესი შემოიფარგლება მხოლოდ დნმ-ის ნიმუშის შემთხვევის ადგილიდან ან პიროვნებიდან ამოღებით და მისი დანადგარში მოთავსებით, რის შემდეგაც დანადგარი მონაცემთა ბაზაში თავად მოძებნის საიდენტიფიკაციო პიროვნებას.

თუ აღნიშნული ხელსაწყო-დანადგარები თავის დროზე იშვიათი და ძვირად ღირებული იყო, დღეისათვის ისინი მეტნაკლებად ხელმისაწვდომია. რაც შეეხება სპეცილისტ-კრიმინალისტის როლს, რომელსაც შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ნივთიერი მტკიცებულების ამოღება ევალება, ტექნიკური პროგრესის პირობებშიც უცვლელი დარჩება, რადგან, გარდა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა, მას შემთხვევის ადგილზე მუშაობის გამოცდილება და უნარ-ჩვევები უნდა გააჩნდეს.

ამრიგად, კრიმინალისტიკური ტექნიკა არის კრიმინალისტიკის საგნის ის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, რომელიც თანამედროვე მეცნიერების მიღწევის საფუძველზე შეისწავლის და ადგენს დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების აცილებისათვის საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების ხერხებისა და მეთოდების ერთიან სისტემას.¹⁴ ერთიანობაში კრიმინალისტიკური ტექნიკა მიმართულია დანაშაულებების გახსნისკენ. თანამედროვე პირობებში დანაშაულის სწრაფი გახსნა და დამნაშავეთა მხილება შეუძლებელია გამომძიებლისა და ოფერატიული-სამძებრო ორგანოების მჭიდრო ურთიერთკავშირის გარეშე. გამომძიებლის, ოპერატიული-სამძებრო სამსახურის და საექსპერტო დაწესებულებების მთელი ძალები და საშვალეა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი და საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება.

¹² რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 109

¹³ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2010, გვ. 118

¹⁴ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 61.

ამ ამოცანების გადაწყვეთა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ორგანოები მთელი ძალებით გაერთიანდებიან და ისინი შეთანხმებულად და მიზანსწრაფულად იმუშავენ გამოძიების პერიოდში, დაეხმარებიან ერთმანეთს ეჭვმიტანილის და ბრალდებულის დადგენა დაკავებაში, მოწმეთა და დაზარალებულთა დადგენაში, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში, გვამისა და უგზო უკლოდ დაკარგულ პირთა დადგენასა და ამოცნობაში.¹⁵

გამომძიებლის და სპეციალისტის ურთიერთობა ხორციელდება საქმის სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოძიების მიზნით. ამ ურთიერთობაში სპეციალისტი არ წარმოადგენს ავტონომიურ სუბიექტს, იგი თავის ფუნქციას ახორციელებს გამომძიებლის დავალებით, მისი უშვალო ხელმძღვანელობით. როგორც წესი, სპეციალისტები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო - კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში არსებული სასამართლო ექსპერტიზის ორგანოთა მუშაკები.

გამომძიების პროცესში საქმიანი ურთიერთობა აგრეთვე უნდა დამყარდეს საექსპერტო დაწესებულებასთან. ამ ურთიერთობის ორი ძირითადი ფორმა არსებობს: გამომძიებელი სარგებლობს იმ მონაცემებით, რომელიც გააჩნია საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს (კვალთა აღრიცხვის ბაზები); მეორე შემთხვევაში გამომძიებელი ნიშნავს ექსპერტიზას, იმ სპეციალური საკითხების გადასაწყვეტათ, რაც გამოიკვეთება გამოძიების პროცესში და რასაც მნიშვნელობა აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. გამომძიებელს ყველა შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს. ექსპერტ-კრიმინალისტის დახმარება შეიძლება გამოიხატოს კვალთა დაფიქსირებაში, ფოტო და ვიდეოგადაღებაში, შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, კვალთა აღმოჩენაში.

¹⁵შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ.2, დანაშაულის გახსნის ტაქტიკა, თბ., 2007, გვ. 87

თავი III. დანაშაულის გამოძიების პროცესში კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის გამოყენება

3.1. კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის როლი, მნიშვნელობა, სახეები და გამოყენების წესი

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია კრიმინალისტიკური ტექნიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი ცოდნა ესაჭიროება სამართალდამცავი ორგანოების ყველა მუშაკს. მისი საფუძვლიანი შესწავლა მოითხოვს საკმაოდ დიდ დროსა და ფოტოლაბორატორიულ პირობებში ხანგრძლივ მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საკმაოდ გაუმჯობესებული და გამარტივებულია თანამედროვე ფოტოაპარატებით ფოტოგრაფიული პროცესების წარმოება.¹⁶

ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის, საგამომიებო ორგანოების, საექსპერტო დაწესებულებების პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენება ზოგადი ფოტოგრაფია ადგილმდებარეობის, კვალთა, ნივთიერ მტკიცებულებათა ფიქსირებისა და გამოკვლევის პროცესში.

ზოგადი ფოტოგრაფიის, კინოგადაღებისა და ვიდეო აპარატურისათვის დამახასიათებელია ისეთი ნიშნები, როგორცაა: გამოსახულების მიღების სისწრაფე; გამოსახულების სიზუსტე; ფერების გადმოცემის უნარი (ფერადი ფოტოგრაფია); გამოსახული ობიექტების ზომების განსაზღვრა (მასშტაბური გადაღება); მოძრაობისა და ხმის ასახვა.

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია შეიმუშავებს გადაღებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა¹⁷ გამოკვლევის სპეციალურ მეთოდებს: ამოსაცნობი სურათების დამზადებას, გვამის ფოტოგრაფირებას, კვალთა გადაღების თავისებურებას, ნივთიერ მტკიცებულებათა და

¹⁶ შ. ფაფიაშვილი. კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2010, გვ. 135

¹⁷ გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 218

ექსპერტიზის ობიექტების უხილავ სხივებში გადაღებას, ფერგაყოფისა და კონტრასტულობის შეცვლას, მაკრო და მიკრო გადაღებას და ა.შ.¹⁸

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის გამოყენებას ადგილი აქვს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს, საგამომძებო ორგანოების პრაქტიკაში, სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში გადაღებული მასალის ილუსტრაციის მიზნით და კრიმინალისტიკური გამოკვლევის დროს. კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის (მათ შორის კინო და ვიდეოგადაღების) სუბიექტებს მიეკუთვნება: ოპერატიული მუშაკი, გამომძიებელი, ექსპერტი.

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია კლასიფიცირდება ორი ძირითადი სახედ:

1. საგამომძებო-ოპერატიული ანუ აღმბეჭდავი ფოტოგრაფია;
2. საგამოკვლევო ფოტოგრაფია.

აქედან, პირველს იყენებს კრიმინალისტი და ოპერატიული მუშაკი, მეორეს კი, ექსპერტი საექსპორტო კვლევისა და კვლევის შედეგების საილუსტრაციოდ.¹⁹ კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის ასეთ დაყოფას პირობითი ხასიათი აქვს, რადგან საგამომძებო ფოტოგრაფიის მეთოდები შეიძლება გამოიყენოს ექსპერტმა გამოკვლევის პროცესში და, პირიქით - ოპერატიულმა მუშაკმა და გამომძიებელმა.

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის მეთოდები იყოფა ორ სახედ - დამაფიქსირებელი და კვლევითი.

დამაფიქსირებელი ფოტო, ვიდეოგადაღება ძირითადად წარმოებს ხილვადი საგნებისა და გარემოებათა ფიქსირების მიზნით. კვლევითი ფოტოგრაფიული მეთოდების გამოყენება წარმოებს, ძირითადად, საექსპერტო გამოკვლევის პროცესში და მის სახეებს მიეკუთვნება მაკრო და მიკროგადაღება, ფერგაყოფითი და კონტრასტულობის შეცვლის მიზნით ფოტოგადაღება, უხილავ სხივებში გადაღება.

საგამომძებო ფოტოგრაფიის გამოყენების ცალკეულ სახეებს მიეკუთვნება ოპერატიულ და საგამომძებო მოქმედებათა დროს წარმოებული ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება. საგამომძებო ფოტოგრაფირების კერძო სახეებს მიეკუთვნება: საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური გადაღება.

საგამომძებო-საექსპერტო პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა გადასაღები აპარატი: მცირეფორმატიანი (16-35მმ), საშუალოფორმატიანი (61-66 მმ), დიდფორმატიანი (9X12 სმ),

¹⁸ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი. კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 126

¹⁹ შ. ფიცხელაური. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამომძიების პროცესში, თბ., 2005, გვ. 82

სტერეოგადაღებისათვის, მიკრო გადაღებისათვის და სხვა სპეციალური აპარატები, მაგალითად, ტყვიის გარსის გადაღებისათვის.²⁰

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია არის კრიმინალისტიკური ტექნიკის დარგი, რომელიც შეიმუშავებს ზოგადი და სპეციალური ფოტოგრაფირების, კინო და ვიდეოგადაღების ხერხებს, საშუალებებსა და მეთოდებს: ნივთიერმტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრების, გამოკვლევის, ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებათა პროცესის ფიქსირების მიზნით დანაშაულის გახსნის, გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.²¹

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია არის კრიმინალისტიკური ტექნიკის ის დარგი, რომელიც ფოტოგარფიული პროცესების ცოდნის სისტემაზე დამყარებული შეისწავლის და ადგენს დანაშაულის გახსნას და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭირო ფოტო, კინო და ვიდეოგადაღებების იმ სპეციალურ ხერხებს, საშუალებებსა და მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება საგამომიებო მოქმედებების და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების დროს გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების, ფაქტების, საგნებს და კვლევის აღსაბეჭდავად, აგრეთვე ნივთიერ მტკიცებაა გამოკვლევისა და საექსპორტო კვლევის შედეგების საილუსტრაციოდ.²²

3.2. საგამომიებო ფოტოგრაფიის სახეები

საგამომიებო-ოპერატიულ ფოტოგრაფიაში უმთავრესად გამოიყენება შემდეგი სახის ყველაზე გავრცელებული ფოტოგადაღებები:

რეპროდუქციული ფოტოგადაღება - საგამომიებო ფოტოგრაფიის ყველაზე მარტივი სახე, რომელსაც ამჟამად იშვიათად მიმართავენ, რადგან იგი შეცვალა კომპიუტერულ სისტემაში დანერგილმა სკანირების მეთოდმა.

რეპროდუქციული ფოტოგადაღება გამოიყენება ისეთი საგნების გადასაღებად, რომლებიც ხასიათდება გლუვი (ბრტყელი) ზედაპირით.²³ ამისათვის გამოიყენება სპეციალური რეპროდუქციული დანადგარი, რომელიც შეიძლება იყოს ვერტიკალური ან ჰორიზონტალური კონსტრუქციის. ამ სახის ფოტოდანადგარს აქვს ფოტოეკრანი, რომლის დაყენება შეიძლება

²⁰ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 127

²¹ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 128

²² შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 74

²³ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 128

როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით. ფოტოგადაღება შეიძლება მოხდეს როგორც სპეციალური რეპროდუქციული კამერით, ისე საერთო დანიშნულების მქონე ფოტოაპარატით.²⁴

რეფლექსური ფოტოგადაღება რეპროდუქციული ფოტოგადაღების ერთ-ერთი სახეა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი ხდება ფოტოაპარატის გამოყენების გარეშე. ამ სახის ფოტოგადაღებებმა გარკვეულწილად დაკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა. დოკუმენტის ასლების დაგამღები და გამამრავლები სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების - ქსეროქსისა და კომპიუტერის გამოყენების ფართო შესაძლებლობების გამო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ დღესაც ნაწილობრივ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოსაძიებელ საქმეზე.²⁵

რეფლექსური ფოტოგადაღება გამოიყენება დოკუმენტების, სქემების, გეგმების, ტექსტების პირის დამზადების მიზნით.²⁶

დეტექტური ფოტოგადაღება წარმოებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების დროს, დანაშაულის შემთხვევისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა ფიქსირების მიზნით.²⁷

განზომილებითი ფოტოგადაღება გამოიყენება იმ მიზნით, რომ დადგინდეს და განისაზღვროს გადაღებული ობიექტის ზომები, მათი მასშტაბები და მათ შორის არსებული მანძილი.

კრიმინალისტიკურ პრაქტიკაში გამოიყენება განზომილებითი ფოტოგარფიის ორი სახე : მასშტაბური და მეტრული. ძირითადი მათგანია მასშტაბური ფოტოგადაღება.²⁸

ამოსაცნობი (სიგნალეტიკური) ფოტოგადაღება გამოიყენება სხვადასხვა მიზნით: პირის სისხლის სამართლის რეგისტრაციაში გატარების დროს, მისი დაძებნისათვის, ამოცნობისათვის, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად, გვამის ამოცნობისათვის, ასევე ცხოველთა და საგანთა ამოცნობისათვის.²⁹

პანორამული ფოტოგადაღება გამოიყენება მაშინ, როცა საჭიროა გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი დიდი მოცულობის ობიექტის ან სივრცის აღბეჭდვა , რომელიც ერთ კადრში არ თავსდება, შორი მანძილიდან კი მისი გადაღება შეუძლებელია, ან არასასურველია მისი გადაღება შემცირებული სახით, ამ სახის ფოტოგადაღება უნდა მოხდეს ფართოკუთხიანი ფოტოობიექტივით

²⁴ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 90

²⁵ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 90

²⁶ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 129

²⁷ იქვე, გვ. 129-130

²⁸ იქვე, გვ. 130

²⁹ იქვე, გვ. 131

გადასაღები საგნის ნაწილ-ნაწილ თანმიმდევრული გადაღებით ისე, რომ შესაძლებელი იყოს პირველ გადაღებულ კადრზე აღბეჭდილი სივრცის ან საგნის (ობიექტის) ერთი მთლიანი გამოსახულების ფოტოსურათად დამონტაჟება.³⁰

კრიმინალისტიკაში არსებობს პანორამული ფოტოგადაღების ორი სახე: სწორხაზოვანი და წრიული.

სტერეოსკოპული ფოტოგადაღების გამოიყენება საშუალებას იძლევა ფოტოსურათებით აღვიქვათ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი საგნები, ობიექტები და გარემოებები თავიანთი მოცულობების, სივრცეში მდებარეობისა და ურთიერთგანლაგების მიხედვით.³¹

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ოთხი სახის ფოტოგადაღება, კერძოდ: საორიენტაციო, მიმოხილვითი, დეტალური და საკვანძო. ამ სახის ფოტოგადაღებათა არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფოტოსურათზე შემთხვევის ადგილი, ცალკეული დანაშაულების გამოძიებისას, იქ არსებული საგნები, ობიექტები, მათი ურთიერთგანლაგება და საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარკვეული დეტალები სხვადასხვა მოცულობით აღიბეჭდება, კერძოდ:

საორიენტაციო ფოტოგადაღების დროს შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღება ხდება შემთხვევის ადგილის გარემომცველ გარემოსთან ერთად. ამ სახის ფოტოგადაღება სასურველია ვაწარმოოთ ფართოკუთხიანია ფოტოობიექტივით აღჭურვილი ფოტოაპარატით. ამასთან, საორიენტაციო ფოტოგადაღების დროს ფოტოაპარატი საკმაოდ შორი მანძილით უნდა იყოს დაშორებული გადასაღები შემთხვევის ადგილიდან.

მიმოხილვითი ფოტოგადაღების დროს კი შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღება³² წარმოებს უშუალოდ შემთხვევის ადგილის ფართო გარემომცველი გარემოებების გარეშე ე.ი. მიმოხილვითი ფოტოგადაღების დროს შემთხვევის ადგილსა და ფოტოობიექტივს შორის არსებული მანძილი შედარებით მცირეა. ამიტომ ფოტოსურათზე შემთხვევის ადგილი უფრო დიდი მოცულობით აღიბეჭდება, რადგან ფოტოგადაღება უნდა მოხდეს მისი გარემომცველი გარემოებების გარეშე შედარებით ახლო მანძილიდან.

საკვანძო სახის ფოტოგადაღებით ხდება შემთხვევის ადგილის ცენტრალური ნაწილის, ან მისი რომელიმე მნიშვნელოვანი უბნის, ან ობიექტის უშუალო ფოტოგადაღება გარემომცველი გარემოებების გარეშე.

³⁰ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2010, გვ. 146

³¹ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2010, გვ. 149

³² შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 79

მასშტაბურ–დეტალური სახის ფოტოგადაღება ხდება უშუალოდ გადასაღებ საგანზე არსებული კვალის ფოტოგადაღება მის გვერდით, პარალელურად მოთავსებული მასშტაბური დანაყოფების მქონე საგანთან ერთად.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, როცა აღმოჩენილია ადამიანის გვამი, ზემოთ აღნიშნული ოთხი სახის ფოტოგადაღების გარდა საჭიროა მოხდეს გვამის ჯვარედინი ფოტოგადაღება ოთხივე მხრიდან ისეთნაირად, რომ ადგილი არ ჰქონდეს გვამის ფოტოგადაღებას პირდაპირ თავისა და ფეხების მხრიდან.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ზოგჯერ ასევე საჭიროა ჩატარდეს პანორამული, მასშტაბური, სიღრმითი-მასშტაბური და მსხვილმასშტაბური ფოტოგადაღებები ზემოთ აღწერილი წესით. ამ სახის ფოტოგადაღებები შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული სასამართლოს მიერ სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და მისი შედეგების საილუსტრაციოდ კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებულ ხერხებსა და მეთოდებს ფართოდ იყენებს ექსპერტ-კრიმინალისტი ექსპერტიზის ჩატარების პროცესში. კერძოდ, იგი იყენებს ფოტოგადაღებათა ისეთ ხერხებსა და მეთოდებს როგორცაა: კონტრასტულობის შეცვლის ფოტოგრაფიული მეთოდები, ფოტოგადაღება ფერგაყოფის გამოყენებით, ფოტოგადაღება სპექტრის უხილავ სხივებში, მაკრო და მიკრო ფოტოგადაღება და სხვ.

გვამის ფოტოგადაღება შესაძლებელია როგორც შემთხვევის ადგილზე ასევე მორგში. შემთხვევის ადგილზე გვამის ფოტოგადაღების მთავარი ამოცანაა: დაფიქსირებული იქნას ის ვითარება რა ვითარებაშიც აღმოჩენილი იქნა გვამი, გვამის საერთო ხედი, ასევე დაფიქსირებული იქნას პოზა, რომელშიც გვამი იქნა აღმოჩენილი, თუ რა მდგომარეობაშია გვამის ტანსაცმელი, სხეულის გარეგანი დაზიანებები და სხვა.³³

გვამის საორიენტაციო ფოტოგადაღების დროს კადრში უნდა აღიბეჭდოს მიმდებარე ობიექტები გვამთან მიმართებაში. ამისთვის გვამის ფოტოგადაღება ხდება რამდენიმე ადგილიდან, გვამიდან 3-4 მეტრის დაშორებით. ფოტოაპარატი უნდა დადგეს ჰორიზონტალურად, სიპრტყიდან დაახლოებით 8-9 სანტიმეტრის დაშორებით. იატაკზე ან მიწაზე გვამის მიმოხილვითი ფოტოგადაღება ხორციელდება ორი საპირისპირო მხრიდან და ზემოდან. გვამის გვერდიდან ფოტოგრაფირებისას ფოტოაპარატის ობიექტივის ოპტიკური ღერძი მიმართული უნდა იყოს

³³ შ.ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, გამომც. „ ნეკერი“ თბ., 1995, გვ. 145

გვამის წარმოსახვითი ღერძული ხაზის პერპენდიკულარულად. გვამის ფოტოგრაფირება თავიდან ან ფეხებიდან არ შეიძლება რადგან ასეთი კუთხით ფოტოგადაღებისას ფოტოსურათით ვერ შეიქმნება სწორი წარმოდგენა იმაზე, თუ რა პოზაშია გვამი, რადგან გვამის ის ნაწილები რომლებიც ფოტოაპარატის ობიექტივთან ახლოს იმყოფება ფოტოსურათზე გამოისახება არაპროპორციულად და მსხვილად. თუკი გვამის ადგილმდებარეობა შეუძლებელს ხდის გვამის მთლიან ფოტოგადაღებას ერთ კადრში მაშინ გამოიყენება პანორამული ფოტოგადაღება.

თავი IV. კრიმინალისტიკური ტრასოლოგიის როლი და მნიშვნელობა დანაშაულის გახსნის საქმეში, კვალთა კლასიპიკაცია

4.1. ტრასოლოგიის ცნება და კვალთა კლასიპიკაცია

კრიმინალისტიკაში შეუცვლელი ადგილი უჭირავს ტრასოლოგიას, იგი არის ფრანგული სიტყვა და ნიშნავს სწავლებას (მოდვრებას) კვალთა შესახებ. დანაშაულის მზადების, ჩადენისა და დაფარვის პროცესში რჩება სხვადასხვა სახის კვალი, რომელთა კრიმინალისტიკურ შესწავლასა და გამოკვლევას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დანაშაულის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

კვალს მიეკუთვნება ყოველგვარი სახის ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის მზადების, ჩადენისა და დაფარვის პროცესში. აქ იგულისხმება ისეთი ცვლილებები, რომელიც გამოწვეული იყო პირის მოქმედებით, საგნების გადაადგილებით, ამოღებით, სახეცვლილებით, დაზიანებით, ობიექტის ურთიერთმოქმედების დროს ზედაპირის შეცვლით, მიკრონაწილაკების გადასვლით ერთი ობიექტიდან მეორეზე, საგანთა და კვალთა ყოველგვარი სხვა სახეცვლილება მექანიკური, სითბური თუ ქიმიური ზემოქმედების შედეგად. ამგვარად ყოველი სახის კვალი, რომელიც გამოიყენება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების დროს შეიძლება იყოს კრიმინალისტიკის გამოკვლევის ობიექტი.³⁴

კვალთა ტრასოლოგიური გამოკვლევა შესაძლებელი ხდება მეცნიერული, პრინციპული სახის დებულებით, რომელთა გათვალისწინება საჭიროა ყველა შემთხვევაში. მათ მიეკუთვნება: კვალთა ინდივიდუალობა, საგნის ნიშან-თვისებათა ასახვის უნარი, კვალთა ნიშან-თვისებათა შედარებითი უცვლელობა, კვალთა კლასიპიკაციის შესაძლებლობა, კვალთა საკმარისობა და ვარგისობა გამოკვლევისთვის, კვალის მიმღებ ობიექტზე ნიშან-თვისებათა შებრუნებული გამოსახულება.

³⁴ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, გამომც. „ნეკერი“ თბ., 1995, გვ. 152

ტრასოლოგიური გამოკვლევა ეფუძნება იმას, რომ ყოველი ცოცხალი არსება, ნივთი, საგანი სამყაროში ინდივიდუალურია და ამავე დროს განსხვავებული სხვა საგნებისაგან. სერიული წესით დამზადებული საგნებიც კი, მათი მსგავსების მიუხედავად ინდივიდუალურია. ამავე დროს აუცილებელია კვალის წარმომქმნელი ობიექტის ნიშან-თვისებები გადავიდეს კვალის მიმღებ ობიექტზე და რეალურად მატერიალური ასახვა ჰპოვოს. თუ კვალი არ აისახება მისი გამოკვლევა შეუძლებელია.

ტრასოლოგიაში მიღებულია კვალთა შესწავლის მიმართულების მიხედვით მისი დაყოფა - ხელის კვალი (დაქტილოსკოპია); ადამიანის ფეხის კვალი; კბილის, ფრჩხილის კვალი; სატრანსპორტო საშუალებათა კვალი; გეტეხის იარაღთა კვალი; სხვადასხვა სახის კვალი, როგორც ტრასოლოგიური გამოკვლევის ობიექტი

სწორედ ტრასოლოგიის მიერ შესასწავლი კვლების აღმოჩენის, დამაგრების, ამოღების და შემდგომ კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარებაში მთავარი როლი ენიჭება კრიმინალისტიკურ ტექნიკას, რადგან მისი დახმარების გარეშე, კრიმინალისტიკური ტექნიკაში შემუშავებული არაერთი, როგორც, ზოგად მეცნიერული ასევე, კონკრეტულად კრიმინალისტიკური საქმიანობისათვის შემუშავებული საშველების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დანაშაულის კვალის აღმოჩენა, დამნაშავის დაკავება და აღმოჩენილი კვლების, როგორც მტკიცებულებად გამოყენება.

4.2. ხელის (დაქტილოსკოპია) და ფეხის კვალი

ხელის კვალი. დაქტილოსკოპია კრიმინალისტიკური მეცნიერების ის ნაწილია, რომელიც ადამიანის ხელის დვრილოვანი ქარგების საშვალეობით ადგენს პიროვნებას და გამოიყენება დამნაშავის რეგისტრაციის, ძებნისა და ამოცნობისათვის. დაქტილოსკოპია ბერძნული სიტყვაა და თუ სიტყვა-სიტყვით გადავთარგმნით, დაქტილოსკოპია ნიშნავს თითების დათვალიერებას.³⁵

მე-20 საუკუნის დასაწყისში მსოფლიო სახელმწიფოთა უმრავლესობამ, როცა წერა კითხვა განვითარებული იყო და ხელის თითის ანაბეჭდით დადასტურება საჭიროებას არ წარმოადგენდა, დაიწყო დაქტილოსკოპიის გამოყენება სისხლის სამართლის დამნაშავეთა მოძიების და რეგისტრაციისათვის.

ხელის თითების დვრილოვან ქარგებზე კრიმინალისტთა მრავალწლიანი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი შედარებით უცვლელია ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში და

³⁵შ. ფაფიაშვილი, დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, თბ., 1999, გვ. 27

სიკვდილის შემდეგაც ხელის გულზე და თითების ბალიშებზე მოთავსებული კანის სრულ გახრწნამდე.

დვრილოვანი ქარგების შედარებით უცვლელობას არავითარი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ მას ინდივიდუალურობის მკვეთრი გამოსახვის თვისება არ ჰქონოდა. დვრილოვანი ქარგებითავიანთი საერთო კონფიგურაციით შეიძლება ემსგავსებოდეს სხვა რომელიმე თითზე მოთავსებულ ქარგებს, ბუნებაში იმდენი ურთიერთგანსხვავებული ქარგაა, რამდენიც დედამიწის ზურგზე მცხოვრები ადამიანის თითი.³⁶

ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობაში შემთხვევის ადგილზე რჩება ხელის და ფეხის კვალი, რომელთა აღმოჩენას, ფიქსირებას და ამოღებას აქვს დიდი მნიშვნელობა გამოძიებისათვის.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, რომ კვალს მიეკუთვნება ყოველგვარი სახის ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის მზადების, ჩადენისა და დაფარვის პროცესში. აქ იგულისხმება ისეთი ცვლილებები, რომელიც გამოწვეული იყო პირის მოქმედებით, კვალის მიმღები ობიექტის თავისებურობიდან გამომდინარე - ზედაპირული, მოცულობითი, კვალის მიმღების ფერი და სხვა, კვალის ამოღება ხდება სხვადასხვა საშუალებებით, რომელიც მორგებულია კვალის მიმღები ობიექტის თავისებურობაზე.

ადამიანის ხელის თითების კვალი წარმოიქმნება საგანზე ხელის შეხებით. კვალი შეიძლება იყოს ჩაღრმავებული და ზედაპირული, აშრევებული და დაშრევებული, უხილავი, ნაკლებადხილვადი და თვალსაჩინო. ამავე დროს, ხელის თითების კვალი წარმოქმნის მიხედვით, შეიძლება იყოს სტატიკური და დინამიკური. სტატიკური კვალი წარმოიქმნება კვალის მიმღებ ობიექტზე ხელის შეხების მომენტში, როცა ისინი უძრავ მდგომარეობაში არიან. დინამიკური სახის კვალი კი წარმოიქმნება გლუვი ზედაპირის მქონე საგანზე ხელის თითების გაცურების შედეგად. ჩაღრმავებული ანუ მოცულობითი სახის კვალი წარმოიქმნება ნაკლებად მყარ საგანზე ხელის თითების შეხებით მისი რელიეფური ზედაპირის შეცვლის შედეგად. ზედაპირული სახის კვალი წარმოიქმნება გლუვი ზედაპირის მქონე ამა თუ იმ სახის საგანზე ხელის შეხებისას. ზედაპირული სახის კვალი წარმოქმნის პროცესის მიხედვით,³⁷ შეიძლება იყოს აშრევებული და დაშრევებული: აშრევებული სახის კვალი წარმოიქმნება ისეთ საგანზე ხელით შეხებისას, რომლის ზედაპირიც დაფარულია მტვრით ან რაიმე საღებავით; დაშრევებული სახის კვალი წარმოიქმნება, თუ ადამიანის ხელის თითები დაფრულია რაიმე საღებავით.³⁸

³⁶ იქვე, გვ. 31

³⁷ ი.გ. გალდინი, დაქტილოსკოპია, მოსკოვი, 2000. გვ. 59

³⁸ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, გამომც. „ნეკერი“ თბ., 1995, გვ. 165

გამოსაკვლევ ობიექტზე აღმოჩენილი და გამოვლენილი კვლების ფიქსირება გულისხმობს გამოვლენილი და აღმოჩენილი კვალის ფოტოგადაღებას. იმ შემთხვევაში, თუ თითების ანაბეჭდი მეტად მკვეთრადაა გამოსახული, მაშინ შეიძლება დაგვკმაყოფილდეთ მარტო მათი ფოტოგადაღებით, ხოლო თუ სავარაუდოა, რომ კვალის დამუშავების შემდეგ შეიძლება უფრო მკვეთრი გახდეს, მისი ფოტოგადაღება საჭიროა გამოვლენის შემდეგაც. ანუ თვალსაჩნო და ნაკლებად ხილვადი კვალის ფოტოგადაღება უნდა მოხდეს კვალის დამუშავებამდე და მის შემდეგ. თუ თითის კვალი სრულიად უხილავია, მაშინ ცხადია, კვალის გამოვლენამდე ფოტოგადაღებას აზრი არ აქვს.³⁹

სწორედ კვალის გამოვლენისათვის არის შემუშავებული არაერთი საშუალება რომელიც ხელს უწყობს მის ფიქსირებას და ამოღებას. ხსენებულ საშუალებებს ყოფენ: მექანიკურად და ქიმიურ საშუალებებათ.

მექანიკური საშუალებით თითის ანაბეჭდის გამოვლინება-გამომჟღავნება შედარებით ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. პრაქტიკაში ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ბრინჯაოს, ალუმინის, გრაფიტის, ტყვიის, თუთიის ზეჯანგის და ლითონის ფხვნილები. ფხვნილების გამოყენების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები: ფხვნილები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ თითის ანაბეჭდი სველი, ნოტიო ან დანამულია. ასეთი წესი იმით არის განპირობებული, რომ ფხვნილს მიიზიდავს არა მარტო თითის ანაბეჭდი, არამედ საგნის მთელი სველი, ნოტიო ან დანამული ზედაპირი. ფხვნილებით თითის ანაბეჭდის დამუშავება, როგორც წესი, ახლად დატოვებულ კვალზე, რადგან თითის ანაბეჭდში ჯერ კიდევ შეიძლება იყოს ადამიანის თითის ფორებიდან გამოყოფილი ოფლი და მარილი. თეთრ ზედაპირზე დატოვებული თითის ანაბეჭდების გამოსამჟღავნებლად გამოიყენება მუქი ფერის ფხვნილები (თუთიის ზეჯანგი, გრაფიტის, ლითონის ფხვნილები) და, პირიქით მუქ ზედაპირზე დატოვებული თითის ანაბეჭდების გამოსამჟღავნებლათ გამოიყენება თეთრი ფერის ფხვნილები (ალუმინის, ბრინჯაოს ფხვნილები).⁴⁰

ქიმიური საშუალებებიდან თითის ანაბეჭდების გამოსამჟღავნებლად შედარებით ხშირად გამოიყენება იოდის ოლტქლი, ნინჰიდრიდი და პოლიმერები. იოდის ორთქლი გამოიყენება, როგორც წესი, ქაღალდზე, მუყაოზე, ხის გლუვ ზედაპირზე დარჩენილი უხილავი კვალის გამომჟღავნებისათვის, აგრეთვე ისეთი ძველი თითის ანაბეჭდის გამოვლინებისათვის, როდესაც ფხვნილების ხმარება არ გვაძლევს სასურველ შედეგს. იოდის ორთქლი კარგ შედეგს იძლევა

³⁹ ი.გ. გალდინი, დაქტილოსკოპია, მოსკოვი, 2000, გვ. 56

⁴⁰ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006, გვ. 166

ჭუჭყით დაფარულ კვალთა გამომჟღავნებისათვის. პრაქტიკაში თითის ანაბეჭდვის გამომჟღავნების მიზნით, წარმატებით გამოიყენება ისეთი ქიმიური ხსნარი, როგორცაა ნინჰიდრინი. ნინჰიდრინის გამოყენება ეფექტურ შედეგებს იძლევა ქაღალდზე დარჩენილი კალის გამომჟღავნებისა და ძველი ტითის ანაბეჭდების გამოვლენისათვის.⁴¹

უკანასკნელ პერიოდში მოცულობითი ან ზედაპირული თითის ანაბეჭდიდან ტვიფრის დამზადებისათვის გამოიყენება პოლიმერები კერძოდ კი, სილიკატური მალამო და ასევე ახალი პლასტიკური სილიკატური საშვალეები - ექსალფლესი, ოპოზილი, პროველი, რომელთა გამოყენებაც ზედაპირული და მოცულობითი კვალის ამოღებისათვის უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა და გამოყენების პროცესი შედარებით მარტვია.⁴²

ფეხის კვალი. შემთხვევის ადგილზე ხშირად რჩება ადამიანის ფეხის კვალი, რომლის საშვალეებთანაც შესაძლებელია დადგინეს: ფეხის კვალის დამტოვებლის სიმაღლე, სქესი, დანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობა, კვალთა დამტოვებლის სიარულის მანერა, ფეხის ზომა და სხვა. კრიმინალისტიკაში მიღებულია, რომ ადამიანის ფეხის სიგრძის შეფარდება მის სიმაღლესთან შეადგენს დაახლოებით 1:7.⁴³

შემთხვევის ადგილზე შესაძლოა აღმოჩნდეს ფეხის მოცულობითი, ზედაპირული, სტატიკური ან დინამიკური კვალი. ფეხის კვალი შესაძლებელია დარჩეს სხვადასხვა პირობებში: სიარულის ან სირბილის პროცესში, ადგილზე დგომით და გადახტომის შედეგად. ყველა ამ კვალს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს შესაძლოა აღმოჩნდეს ფეხსაცმლით, შიშველი ფეხით ან წინდებით დატოვებული კვალი. შიშველი ფეხის ზედაპირული კვალი შეიძლება გამომჟღავნდეს იმავე ტიპის ფხვნილების გამოყენებით, რომლებითაც გამომჟღავნდება თითის კვალი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს უმეტეს შემთხვევაში რჩება ფეხსაცმლით დატოვებული კვალი. ასეთი კვალი შეიძლება იყოს ზედაპირული და მოცულობითი. იმ შემთხვევაში როდესაც შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ფეხის მოცულობითი კვალი, ფეხის კვალიდან ტვიფრის დამზადება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია იმ საგნის ამორება, რომელზედაც ფეხის კვალთა დარჩენილი მისი სიდიდის, სწრაფფუჭებადობის, კვალის დამსხვრევისა და გაფუჭების გამო. ფეხის კვალიდან ტვიფრი მზადდება იმ შემთხვევაში,

⁴¹ იქვე, გვ. 167-168

⁴² რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006, გვ. 168

⁴³ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, გამომც. „ნეკერი“ თბ., 1995, გვ. 178

როდესაც გვაქვს მოცულობითი (ჩაღრმავებული) კვალი. ზედაპირული კვალისგან ტვიფრი ვერ დამზადდება და ამიტომ ხდება ფეხის კვალის ფოტო გადაღება.⁴⁴ ხოლო, ფეხის მოცულობითი კვალიდან ტვიფრის დამზადება ხდება თაბაშირის გამოყენებით.

4.3. კბილის კვალი და სხვადასხვა სახის კვალი, როგორც ტრასოლოგიური გამოკვლევის ობიექტი

კბილის და ფრჩხილის კვალი. მკვლევლობის გაუპატიურების, სხეულის დაზიანების, ქურდობის და ზოგიერთი სხვა კატეგორიის საქმეების გამოძიების დროს შეიძლება საჭირო გახდეს დაზარალებულის სხეულზე ან რაიმე საგანზე არსებული კბილისა და ფრჩხილის კვალის დამუშავება-გამოკვლევა.⁴⁵

კბილის კვალი. ადამიანის კბილის კვალის მიხედვით კრიმინალისტიკაში ხორციელდება პიროვნების იდენტიფიკაცია.⁴⁶

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდი, რომ მოძალადის სხეულზე შეიძლება დატოვებული იყოს დაზარალებულის კბილის ან ფრჩხილების კვალი აუცილებელია ჩატარდეს დაკავებული პირის შემოწმება (სპეციალისტის) ექსპერტის მონაწილეობით და მასვე დაევალოს ამ კვალისგან სპეციალური ტვიფრის დამზადება შემდგომი გამოკვლევისათვის. ხოლო თუ ხელის ფრჩხილების ან კბილების კვალი დატოვებულია სხვა რაიმე რბილ მაგრამ შედარებით მყარ სხეულზე (მონაკბერ კომშსზე, ვაშლზე, შოკოლადზე ან სხვა სახის პროდუქტზე, ან რაიმე საგანზე) მაშინ მისი ამოღება-დამუშავება უნდა მოხდეს ექსპერტი კრიმინალისტიკის მიერ. ნიმუშების მიღების დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ის, რომ კვალის მიმღებ საგანზე კბილებით შეხებისას წარმოიქმნება არა მარტო ზედ ყბაზე მოთავსებული კბილების კვალი, არამედ ქვედა ყბაზე განლაგებული კბილების კვალიც. ამიტომ ნიმუშის აღება უნდა მოხდეს ორივე ყბაზე განლაგებული კბილებისაგან და ექსპერტს გამოსაკვლევად გადაეგზავნოს, როგორც შემთხვევის

⁴⁴ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006, გვ. 176

⁴⁵ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 178

⁴⁶ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006, გვ. 178

ადგილზე აღმოჩენილი კბილების კვალის საგანი ისე მისგან დამზადებული ტვიფრი და დაკავებულის ორივე ყბაზე მოთავსებული კბილებისგან დამზადებული ტვიფრი.⁴⁷

ტვიფრი მზადდება მოცულობითი (ჩაღრმავებული) კბილის კვალიდან. ამ მიზნით გამოიყენება სამედიცინო თაბაშირი, მალამო „K“, პარაფინი.⁴⁸

კბილის კვალისგან ტვიფრის დამზადების გარდა ასევე გამოიყენება ფოტოგრაფიული მეთოდი.

ფოტოგრაფიის გამოყენებით უნდა იყოს ფიქსირებული ყველა სახის კბილის კვალი როგორც ზედაპირული, ისე მოცულობითი. საკვანძო ფოტოგადაღების გარდა ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს დეტალურ მაშტაბური გადაღება.⁴⁹

ფრჩხილის კვალი. ადამიანის ფრჩხილის კვალი შედარებით იშვიათად გვხვდება პრაქტიკაში. ამ სახის კვალი უნდა ვეძიოთ ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც მიმართულია პიროვნების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ (მკვლელობა, გაუპატიურება). ზოგ შემთხვევაში ადამიანის ფრჩხილებში რჩება დაზარალებულის სხეულის ნაწილაკები, კანი და თმები. ყოველივე ეს უნდა დადგინდეს პიროვნების, გვამის ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, სათანადოდ გაფორმდეს და გადაეგზავნოს ესპერტს გამოაკვლევად.⁵⁰

ამგვარი კვალის მიხედვით, მთელ რიგ შემთხვევებში, შეიძლება ვიმსჯელოთ ამ კვალის წარმომქმნელი პიროვნების ფიზიკურ მონაცემებზე და სხვა. ხოლო თუ ფრჩხილების კვალთან ერთად შეიმჩნება ფრჩხილების ირგვლივ ხელის თითების ბოლო ფალანგების წინა საწყისი ნაწილის კვალი შესაბამისი ქარგებით, ან როცა ფრჩხილის კვალში შეიმჩნევა სხვა ინდივიდუალური ნიშანი, მაშინ შეიძლება მსჯელობა მოცემული კვალის დამტოვებელი პიროვნების იდენტიფიკაციაზე.⁵¹

შემთხვევის ადგილზე ფრჩხილების კვალი, როგორც წესი, გვევლინება ჩაღრმავებული ანუ მოცულობითი სახით. ამიტომ მაშტაბული სახით მისი ფოტოგადაღების შემდეგ საჭიროა კვალის დაზიანების გარეშე მოხდეს კვალში არსებული მიკრონაწილაკების ამორება და ფიქსაცია რეგლამენტირებული წესების დაცვით და, თუ შესაძლებელი იქნება, შემდეგსპეციალური

⁴⁷ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 178-179

⁴⁸ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი. კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006, გვ. 179

⁴⁹ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი. კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006, გვ. 179

⁵⁰ იქვე, გვ. 191

⁵¹ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 180

პირობების დაცვით, მოხდეს ხელის თითების ფრჩხილებისა და მის გარშემო არსებული თითების ბალიშების კვალიდან ტვიფრის ჩამოსხმა და მოშადება ექსპერტიზაზე წასაღებად.⁵²

მიკროკვალი და მიკრონაწილაკები. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს შემთხვევის ადგილზე, დაზარალებულის ან ბრალდებულის სხეულზე, სხვადასხვა საგანზე მიკრონაწილაკების აღმოჩენასა და გამოკვლევას. კრიმინალისტიკაში მიკრონაწილაკი ეწოდება მყარ მატერიალურ სხეულს, რომლის ზომა არ აღემატება 1 მმ-ს, მიკროკვალი არის სხვადასხვა სითხის შედეგად დატოვებული კვალი, რომლის წონა არ აღემატება 1 მგ-ს.⁵³

ამ მიკრონაწილაკების კუთვნილების დადგენის საფუძველზე შეიძლება წამოყენებული იქნეს სხვადასხვა სახის ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ვერსიები უცნობი გვამის და დანაშაულის ჩამდენი პირის პროფესიის, დანაშაულის ჩადენის ხერხის, ადგილის და გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა მთელ რიგ გარემოებათა ახსნის შესახებ.⁵⁴

დათვალიერების დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ საგნებსა და ობიექტებს, პირი აუცილებლად შეეხებოდა. ამ საგნების და ობიექტების დასათვალიერებლად რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს ხელოვნური განათება სხივების სხვადასხვა კუთხის დაცემით. ამასთან დათვალიერების დროს მიკრო ნაწილაკებსა და სხეულის ფერების კონტრასტულობის გაძლიერების მიზნით რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს შუქფილტრები, ულტრაიისფერი სხივების მანათობელი ხელსაწყოები, ელექტრონული ოპტიკური გარდამქნელები. აგრეთვე ისეთი ტექნიკური ხელსაწყოები, როგორცაა: სპეციალური გამაძიებელი მინა, მიკროსკოპი, მაგნიტი და სხვ.⁵⁵

დნმ-ი. დნმ ანუ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა რთული ბუნებრივი ნაერთია, რომელსაც ყველა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედები შეიცავს. დნმ-ის ყოველი ცალკეული უბანი განსაზღვრულ გენს შეესაბამება. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენეტიკური ანუ მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემაში, გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია და ცილებთან ერთად ქრომოსომების ნივთიერებას ქმნის. ქრომოსომებში არსებული დნმ-ი სრულ ინფორმაციას შეიცავს როგორც უჯრედის, ისე მისი შემდგომი თაობების განვითარების შესახებ.⁵⁶

⁵² იქვე, გვ. 180

⁵³ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი. კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006, გვ. 191-192

⁵⁴ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 180

⁵⁵ იქვე, გვ. 181-182

⁵⁶ <https://mkurnali.ge/skhvadaskhva/genetika/1060-ra-aris-dnm.html>

გენეტიკაში შემუშავებული მეთოდები სწრაფად ინერგებოდა კრიმინალისტიკაში. მათი მეშვეობით ახერხებდნენ ექვმიტანილის იდენტიფიცირებას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც გალტონმა 1892 წელს თითის ანაბეჭდების (finger prints) ინდივიდუალობა დაადგინა, მათი კრიმინალისტიკაში გამოყენება დაიწყო. ეს ინოვაცია იმდენად პოპულარული გახდა, რომ მრავალ დეტექტიურ ნაწარმოებშიც აისახა. თუნდაც ა. კონანდოლის “შერლოკ ჰოლმის თავგადასავალში”. თუმცა ზოგიერთ მეთოდს უთუოდ აკლდა სანდოობა ტექნოლოგიური დაუზვეწაობის გამო. მაგალითად, თუ დანაშაულის ადგილას სისხლის კვალს იპოვიდნენ, ნიმუშს ექვმიტანილის სისხლს ადარებდნენ, მაგრამ სისხლის ჯგუფობრიობაზე ბუნდოვანი წარმოდგენის გამო მოსამართლეებს შესაძლოა უსაფუძვლოდ გაემტყუნებინათ ან გაემართლებინათ ექვმიტანილი. პრიორიტეტული და გაცილებით უტყუარია დნმ-ს ანალიზზე დამყარებული მონაცემები. 1984 წელს ინგლისელმა მკვლევარებმა ალექს ჯეფრიმ და ვიკი უილსონმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს მინისატელიტური დნმ-ი. ისინი გენის ევოლუციას იკვლევდნენ. სელაპისა და ადამიანის კუნთის ცილა მიოგლობინის გენს შუა ნაწილში აღმოაჩნდა მოკლე მონაკვეთი (სატელიტური დნმ-ი), რომელიც მრავალჯერ მეორდებოდა. გენი ამ ნიშნით სპეციფიკურია და მისი მეშვეობით ინდივიდის იდენტიფიცირება შესაძლებელი. მალე მინისატელიტური დნმ-ი სხვა გენებშიც გამოავლინეს. ქრომოსომაში მინისატელიტები გენეტიკურ “თითის ანაბეჭდს” წარმოადგენს. შემუშავებული გენეტიკური მეთოდით პიროვნების იდენტიფიკაციამ რევოლუცია მოახდინა კრიმინალისტიკაში.⁵⁷

დნმ-დიაგნოსტიკის მეთოდი სამძებრო პრაქტიკაში პირველად 1986 წელს ინგლისში გამოიყენეს. სოფელ ნარბოროს (ლესტერშირის საგრაფო) მახლობლად ბუჩქნარში 15 წლის გაუპატიურებული მოსწავლე გოგონას – დაუნ ეშუორსის გვამი იპოვეს. ერთი კვირის შემდეგ პოლიციამ ადგილობრივი ჰოსპიტლის ახალგაზრდა მტვირთავს რიჩარდ ბაკლანდს მკვლევლობასა და გაუპატიურებაში ბრალი წაუყენა და დააკავა. შესაძლოა, გამოძიება ამით დასრულებულიყო, მაგრამ გარემოებას ის ართულებდა, რომ ამავე სოფელში სამი წლის წინ უკაცრიელ მინდორში მიაკვლიეს 15 წლის მოსწავლის ლინდა მანის გაუპატიურებულ გვამს. იკვთებოდა, რომ ორივე დანაშაული ერთიდაიმავე პირის მიერ იყო ჩადენილი. ბაკლანდმა მხოლოდ ეშუორსის მკვლევლობა აღიარა, მაგრამ კატეგორიულად უარყოფდა მეორე ბრალდებას.⁵⁸

სადღეისოდ გენეტიკური დაქტილოსკოპია ანუ დნმ-ფინგერპრინტი გაცილებით სრულყოფილი და დახვეწილია. დანაშაულის გახსნა დნმ-ს ანალიზით არა მარტო საიმედო, არამედ

⁵⁷ http://mastsavlebeli.ge/?p=910&fbclid=IwAR0xp-E2ssM-AFL6UNVNHK6N3Vz20y_XrldXkKhvglEA2RzFkCxyZSU80ys

⁵⁸ იქვე.

ერთადერთი უალტერნატივო საშუალებაა. ანალიზისთვის იყენებენ დანაშაულის ადგილზე მოპოვებულ ბიოლოგიურ მასალას (სისხლის წვეთს, თმას, სპერმას, რბილი ქსოვილის ნაწილებს, ნერწყვს და სხვ.). მასალიდან გამოყოფენ დნმ-ს, რომელსაც ფერმენტით (რესტრიქტაზით) მცირე ფრაგმენტებად ხლეჩენ. პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით (პჯრ) დნმ-ს ფრაგმენტებს ასინთეზებენ და მათი რაოდენობა კოლოსალურ რიცხვს აღწევს. ფრაგმენტები ექვემდებარება გელ-ელექტოფორეზს. ეს უკანასკნელი თავისებური საცრის როლს ასრულებს და სხვადასხვა სიგრძის დნმ-ს ფრაგმენტებს ცალ-ცალკე დააჯგუფებს. ფრაგმენტები წინასწარაა მონიშნული და მათი გამოვლენა სხვადასხვა გზით (ფლუორესცენციით, რადიაქტიული ნიშნით) არის შესაძლებელი. გელზე დნმ-ს ფრაგმენტები ზოლებს ქმნიან. ზოლების სისქე და გრძივი ურთიერთგანლაგება გარკვეულ პროფილს ქმნის. როდესაც დანაშაულის ჩადენის ადგილიდან აღებული მასალის დნმ-ის პროფილი ემთხვევა ექვიმიტანილისას, დამნაშავე ამოცნობილია.⁵⁹

⁵⁹ http://mastsavlebeli.ge/?p=910&fbclid=IwAR0xp-E2ssM-AFL6UNVNHK6N3Vz20y_XrldXkKhvglEA2RzFkCxyZSU80ys

**თავი V. დოკუმენტებისა და ხელნაწერების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის
თავისებურებანი**

5.1. დოკუმენტში ნაწილობრივი ცვლილების შეტანისა და გაყალბების ზოგიერთი თავისებურება

იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტი წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის საგანს, ხერხს, საშუალებას, ობიექტს ან მასზე დარჩენილია დანაშაულის ჩადენის კვალი, პროცესუალური გაგებით იგი წარმოადგენს არა დოკუმენტს, არამედ ნივთიერ მტკიცებულებას და მასზე ვრცელდება ის პროცესუალური რეჟიმი, რომელიც დადგენილია კანონით ნივთიერ მტკიცებულებათა შესახებ⁶⁰.

დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა შეისწავლის და ადგენს გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებისა და ფასიანი ქაღალდების სამეცნიერო-ტექნიკური სასუალებების გამოყენებით გაყალბების ხერხებსა და ფაქტებს.⁶¹

ამოფხეკით, ამოშლით, ამოჭმით ანუ ქიმიური ხსნარებით დოკუმენტებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანისას, დოკუმენტის შესაბამის ადგილზე ძირითადად გამოიკვეთება ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, როგორცაა: ქაღალდის ზედა ფენის სტრუქტურისა და მათი ბოჭკოების დაზიანება; ქაღალდის ზედაპირისათვის დამახასიათებელია სიგლუვის დაკარგვა; ქაღალდის გათხელება და ბოჭკოების აბურძგვნა და სხვ.

თუ ამოფხეკილ ან ამოშლილ ადგილას დოკუმენტში კალმით იქნება შეტანილი რაიმე სახის ცვლილება, ქაღალდის ამ ადგილას აუცილებლად მოხდება ხაზების გათხაპნა და საღებავის ნაწილების ქარალდის სტრუქტურებში გაჟღენთა; ქარალდზე არსებული დამცავი ბადის დაზიანება

⁶⁰ ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ.; თბ., 2015, გვ. 330

⁶¹ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 137

და ამონაშალ ადგილას ქაღალდის რელიეფზე ცალკეული ასოების ან რიცხვითი მონაცემების ხაზებში შესაბამისი საღებავების ნარჩენების არსებობა და სხვ,⁶²

ამოჭმის ანუ ქიმიური ნივთიერებების დოკუმენტზე ხაზების წარმომქმნელ საღებავებისა და სპეციალური ქიმიური ნივთიერებების ურთიერთჩანაცვლებით ხაზები გაუფერულდება. დოკუმენტში რაიმე სახის ცვლილებების შეტანისას, დოკუმენტის იმ ადგილზე, სადაც ამ სახით მოხდა ცვლილება, ქაღალდი იქნება უფრო გლუვი ზედაპირის, ფერშეცვლილი და გაუმჭვირვალე.

ვიანიდან, ასეთ დროს, ხაზების წამშლელი ქიმიური ნივთიერება რეაქციაში შედის დოკუმენტში არსებული ხაზების საღებავთან და აუფერულებს, ცხადია, იგი ამავდროულად გარკვეულად წვავს და აზიანებს ქარალდის შემადგენლობას და ამ ადგილას ქარალდი კარგავს თავის ელასტიკურობას და უფრო მტვრევადი ხდება.

ზოგჯერ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანას და მის გაყალბებას ახდენენ გადარეცხვის მეთოდით. ამისათვის იყენებენ ისეთ თხევად ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც სხნის ქაღალდზე არსებულ ასოების წარმომქმნელი ხაზების საღებავს. ასეთი ნივთიერებების გამოყენებისას ქაღალდის ზედაპირი კარგავს თავის სიპრიალეს და წაშლილ სიტყვებსა ან რიცხვით მონაცემებთან ერთად თხუპნის და ნაწილობრივ აზიანებს ტექსტიდან ამონასალის გვერდით არსებული სიტყვების საწყის მონაცემებსა და ქაღალდის ზედაპირს. ამიტომ, დოკუმენტის დათვალიერებისას ამგვარი ნიშნების აღმოჩენა თავისთავად მიუთითებს მასში ცვლილებების შეტანას და მის გაყალბებას.

ამოშლისა და გადარეცხვის მეთოდით დოკუმენტების გასაყალბებლად უმეტესწილად იყენებენ ადვილად ხელმისაწვდომ ქიმიურ საშუალებებს, როგორცაა: სოდა, ნიშადურის სპირტი, ლიმონმჟავა, ნატრიუმის ან კალიუმის ტუტე და სხვ. ეს ქიმიური საშუალებები ნაკლებად ეფექტურია და, ამდენად მათი ამ მიზნით გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

ნაკლებად ხილვადი და სხვადასხვა საშუალებებით წაშლილი ტექსტის წაკითხვა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. ამგვარ დოკუმენტზე არსებული პირვანდელი ტექსტის აღსადგენად რეკომენდირებულია ფოტოგადაღება დოკუმენტზე საწერი კალმის დაწოლის შედეგად ტექსტის ჩაღრმავებული ღარების დოკუმენტის მეორე გვერდზე არსებული ბორცვების 20-25 % დახრილი განათებით წარმოქმნილ ჩრდილებში და მისგან დამზადებულ პოზიტიურ ფოტოსურათზე გამოვლენილი ტექსტის წაკითხვა სარკის მეშვეობით ან ამ რარების რაიმე წმინდა ფხვიერი ქარალდის საწინააღმდეგო ფერადი ფხვნილით ამოვსების შემდეგ მოხდეს მისი

⁶² შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2000, გვ. 254

ფოტოგადაღება მასშტაბურ-დეტალური წესით და კონტრასტულობის გაძლიერების ფოტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით.⁶³

როცა გამოსაკვლევი დოკუმენტი დაფარული რაიმე საღებავით, ან მასზე არსებული ტექსტის აღსადგენად რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს კომბინირებული კვლევის მეთოდები.

ამოფხეკით, ქიმიური რეაქტივებითა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დოკუმენტში არსებული არასასურველი მონაცემების ამოშლის ან მასზე საღებავის დასხმითა და ხაზების გადასმით შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და მასზე არსებული პირვანდელი მონაცემების აღსადგენად, საჭიროა გამოკვლევის ხერხებისა და მეთოდების შერჩევასა და გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს იმისი გარკვევა, თუ კონკრეტულ გამოსაკვლევ დოკუმენტში ცვლილებების შტანა-გაყალბების მიზნით რა ხერხები და საშუალებები იქნა გამოყენებული და იმის გათვალისწინებით მოხდეს გაყალბებული დოკუმენტების გამოსაკვლევად საჭირო ხერხებისა და მეთოდების შერჩევა.⁶⁴

გაყალბების მიზნით დოკუმენტზე ტექსტი თუ გადახაზულია ან ლაქადასხმულია, მაშინ რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნეს ფერგაყოფის ფოტოგრაფიული მეთოდი. თუ ამ მეთოდმა შედეგი არ მოგვცა, მაშინ ფოტოგადაღებისათვის რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს ამ ტექსტის შესრულების დროს ქაღალდზე კამლის დაწოლის შედეგად ქაღალდის მეორე მხარეს აღმოცენებული ტექსტის ამსახველი ბორცვებიანი ხაზების რელიეფურ გამოსახულებათა სპეციალურ განათების პირობებში წარმოქმნილ ჩრდილებში ფოტოგადაღების ხერხები, საშუალებები და სხვ.⁶⁵

5.2. დამწვარი და დახეული დოკუმენტების აღდგენა. ბეჭდებისა და შტამპების გამოკვლევა

დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დამწვარი დოკუმენტების ტექსტის აღდგენა.

იმ შემთხვევაში, როცა დოკუმენტი შესრულებულია დაბალ ტემპერატურაზე დაწვის უნარის მქონე საღებავებით, მაშინ უმჯობესია მისი დათვალიერება და ფოტოგადაღება მოხდეს სპექტრის უხილავ სხივებში, ხოლო, თუ დოკუმენტი შესრულებულია უფრო ცეცხლგამძლე საღებავებით, მაშინ მის გამოსაკვლევად, რეკომენდირებულია გამოვიყენოთ შემდეგი სახის კომბინირებული კვლევის მეთოდი:

⁶³ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2000, გვ. 255-256

⁶⁴ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2000, გვ. 156

⁶⁵ იქვე, გვ. 257

დამწვარი დოკუმენტის უშუალო გამოკვლევამდე საჭიროა გირკვეს რამდენად სრულყოფილადაა იგი დამწვარი და რა ფერებშია იგი დარჩენილი. თუ იგი სრულად არაა დამწვარი, ასეთ შემთხვევაში საჭიროა იგი დაზიანების გარეშე მოვათავსოთ მინის სუფთა ფირფიტაზე და პულვერიზატორით დავნამოთ 15-20%-იან წყალში გახსნილი გლიცერინის ხსნარით.

დანამვის დროს პულვერიზატორიდან გამოსული ნივთები მიზანშეწონილია მიმართული იყოს არა უშუალოდ დამწვარ დოკუმენტზე, არამედ მის მაღლა ისეთნაირად, რომ მაღლა ჰაერში გაფანტული ხსნარის წვრილი წვეთები დოკუმენტის ზედაპირს ფრთხილად დაეფინოს. თუ დოკუმენტი ძალიან არაა დამწვარი, მაშინ იგი შეიძლება დავნამოთ ჩვეულებრივი ადუღებული წყლის ორთქლითაც ელასტიურობის მისაცემად შეიძლება ასეთი დოკუმენტი პირადპირ მოვათავსოთ წყალში ან წყალში გახსნილი გლიცერინის 15-20%-იან ხსნარში. დასველების შემდეგ დამწვარი ქაღალდი თანდათანობით დაიწყებს ჭურჭლის ფსკერზე ჩაძირვას. ამ დროს მას ზემოდან დაადებენ მინის სუფთა ფირფიტას და ამოიღებენ წყლიდან ფრთხილად გაასწორებენ მინაზე და იწყებენ მის დაწვას როგორც კი დოკუმენტი დაიწვება და ნაცრისფერი გახდება, საჭიროა წვის შეჩერება. ნაცრისფრად ქცეული დოკუმენტის ქაღალდზე შავი ხაზებით წარმოჩენილი ტექსტის წაკითხვა შეუიარაღებელი თვალითაც შესაძლებელია.⁶⁶

თუ დამწვარი დოკუმენტი შედგება რამდენიმე ფურცლისაგან, აღნიშნული წესით მათი დანამვისა და ელასტიურობის მიცემის შემდეგ, ეს ფურცლები ერთი მეორეს უნდა დავაცილოთ მასზე მიმართული ცხელი ჰაერის მსუბუქი ნაკადი დამწვარ დოკუმენტზე დაწვის შედეგად გამოვლენილ ნაკლებად ხილვადი ტექსტის აღსადგენად შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე საგამოკვლევო ფოტოგრაფიაში შემუშავებული ფერგაყოფისა და კონტრასტულობის გაძლიერების სპეციალური ფოტოგადაღების ხერხები და საშუალებები.

დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური კვლევის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბეჭდებისა და შტამპების გამოკვლევას

ბეჭდებისა და შტამპების გაყალბების ყველაზე გავრცელებული სახეობაა მათი დამზადება კლიშეს საშუალებით. მათი გაყალბება შეიძლება მოხდეს უშუალოდ ყალბ დაკომენტზე გადახატვით ან ნამდვილი დოკუმენტიდან ასლის გადაღებით ქსეროქსის ან სხვა სახის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და სხვა.

⁶⁶ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 146

ექსპერტიზის ჩატარების პროცესში ძირითადად გამოიყენება გამოსაკვლევი და ნიმუშების სახით წარმოდგენილი ანაბეჭდების ურთიერთ შედარებისა და ურთიერთ შეთავსების კვლევის მეთოდი.

ექსპერტის დასკვნა გამოსაკვლევი და შესადარებელი ნიმუშების ერთი და იმავე ბეჭდით ან შტამპით შესრულების შესახებ უნდა ემყარებოდეს გამოსაკვლევ და შესადარებელ ნიმუშში⁶⁷ ერთნაირი ზოგადი და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების არსებობას. დოკუმენტების კრიმინალისტიკური გამოკვლევის დროს დასახული მიზნის მისაღწევად, ძირითადად გამოიყენება ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფოტოგრაფიული, აღწერილობითი, ექსპერიმენტული, ანალიტიკური, კიბერნეტიკული, კომპიუტერული და მთელი რიგი კვლევის სხვა მეთოდები და საშუალებები.⁶⁸

5.3. ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის

ზოგადი მეთოდიკა

ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის მეთოდიკის პირველი საფეხური გულისხმობს საექსპორტო მასალების გულდასმით გაცნობასა და შესწავლას⁶⁹. გამოკვლევის ამ ეტაპზე ექსპერტი უნდა გაეცნოს წარმოდგენილია თუ არა გამოსაკვლევი საბუთები საკმარისად, რამდენად შეესაბამება ისინი დადგენილებაში რეკვიზიტების აღწერას. ექსპერტი ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ გამოსაკვლევად წარმოდგენილია მხოლოდ ის ხელნაწერები და დოკუმენტები, რომლებიც გამოკვლევას ექვემდებარება.

საექსპერტო მასალების გაცნობის დროს ექსპერტი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მას გადაეცა შესადარებელი მასალის სახით ხელნაწერების ნამდვილი ნიმუშები, რომ ისინი საკმარისია გამოკვლევის ჩასატარებლად.

ექსპერტი უნდა გაერკვეს, წარმოდგენილია თუ არა ყველა ის დამატებითი მასალა და ცნობა, რასაც უშუალო კავშირი აქვს ხელნაწერების გამოკვლევის ხარისხიანად ჩატარებასთან ყოველივე ამის შემდეგ ექსპერტი იღებს სამიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: შეუდგება ხელნაწერების კრიმინალისტიკურ გამოკვლევას; დაუბრუნებს ექსპერტიზის მასალებს გამომძიებელს ან სასამართლოს შეუსრულებლად (კონკრეტული მიზეზის აღნიშვნით); გამოითხოვს ექსპერტიზის დამნიშნავი პირისაგან დამატებით მასალებსა და ცნობებს.

⁶⁷ მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, მე-6 გამოცემა, თბ., 2016, გვ. 220

⁶⁸ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 155

⁶⁹ მ. ლომსაძე, ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, სახეები და ექსპერტის წინაშე დასასმელი კითხვები გამოძიების პროცესში, თბ., 2016, გვ. 20

ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის მეთოდის მეორე საფეხური გულისხმობს გამოსაკვლევი ხელნაწერისა და შესადარებელი ნიმუშების ცალ-ცალკე შესწავლას მეტყველების, ტოპოგრაფიული, საერთო და კერძო ნიშნების დადგენის მიზნით. გამოკვლევის ამ ეტაპზე ექსპერტმა ვიზუალურად ან ოპტიკური ხელსწყოების გამოყენების მეშვეობით უნდა დაადგინოს ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, მათი გამეორების კანონზომიერებისა თუ შემთხვევითობის ფაქტი

ხელნაწერების გამოკვლევის მესამე საფეხურისათვის დამახასიათებელია შედარებითი მეთოდი შედარების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ხელის ნიშნების აბსოლუტურ დამთხვევას შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს, რადგან ადამიანის ხელისათვის დამახასიათებელია ვარიაციულობა.

ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის მეოთხე საფეხური გულისხმობს გამოკვლევის შედეგად ხელის ნიშნების დამთხვევისა და სხვაობის შეფასებას.

ხელნაწერის გამოკვლევის ბოლო მეხუთე საფეხურია დასკვნის ჩამოყალიბება. გამოკვლევის შედეგად ხელნაწერების საერთო და კერძო ნიშანთა დადგენა და შეფასება იმ მიზანს ისახავს, რომ ექსპერტმა ჩამოაყალიბოს დასკვნა, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს.

ექსპერტის ყოველი დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული და თვალსაჩინო. ექსპერტის დასკვნის თვალსაჩინოება გულისხმობს მის ილუსტრაციას. ამ მიზნით ფოტოტაბულაზე ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები და აღნიშნული ხელნაწერის კერძო ნიშნების დამთხვევისა თუ სხვაობის ფაქტები, რაც უნდა იყოს ნაჩვენები დანომრილი ისრების მეშვეობით. დასკვნის თვალსაჩინოება საშუალებას აძლევს გამომოძიებელს, სასამართლოს ბრალდებულს, დაზარალებულსა და პროცესის სხვა შესაბამის მონაწილეს უშუალოდ დარწმუნდეს ხელნაწერების საერთო და კერძო ნიშანთა დამთხვევისა თუ სხვაობის ფაქტზე.⁷⁰

5.4. ხელნაწერებისა და ხელმოწერების კვლევის

ზოგადი დახასიათება

ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა კრიმინალისტიკური ტექნიკის დამოუკიდებელი დარგია და იგი ყველაზე გავრცელებულია პრაქტიკაში ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის მიზანია მოახდინოს პიროვნების იდენტიფიკაცია. ხელწერა

⁷⁰ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 243-246

(ნაწერი) და ხელი (წერაში) ურთიერთდაკავშირებული ცნებებია მაგრამ მათი სიცხადის თვალსაზრისით, მიზან შეწონილია ხელწერისა და ხელის ცალცალკე განხილვა⁷¹

კრიმინალისტიკური ხელმცოდნეობის ფარგლებში ნაწერის ცნება გულისხმობს მხოლოდ ხელწერას (ადამანის მიერ ხელით ნაწერს) შესრულებულს როგორც ქალაქში, ისე სხვა საგანზე ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს არა წერის პროცესი, არამედ ამ პროცესის შედეგი.

ხელნაწერების კვლევის უმთავრესი მიზანია მისი შემსრულებელი პირის დადგენა, რაც თავის მხრივ, საკმაოდ შრომატევად და ხანგრძლივ პროცესს მოიცავს. ხელნაწერის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციისთვის საექსპორტო პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება შედარებითი კვლევის მეთოდი რომლის არსი მდგომარეობს ექსპერტიზაზე გამოგზავნილ გამოსაკვლევ ხელნაწერსა და ნიმუშების სახით წარმოდგენილ ხელნაწერებში ერთნაირი ზოგადი და კერძო, ანუ მოცემული ხელწერისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნების აღმოჩენასა და მათ ურთიერთშედარებაში.⁷²

პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით ექსპერტიზაზე გამოგზავნილი გამოსაკვლევ და შესადარებელი ნიმუშების გამოკვლევა, ტრადიციულად, მიღებულია დაწყებული იქნეს გამოსაკვლევ ხელნაწერით და მოხდეს მასში არსებული ხელნაწერისათვის დამახასიათებელი ზოგადი და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების აღმოჩენა, მათი თავისებურებების ცალკე ამოღება და სუფთა ფურცელზე გადატანა, შემდეგ კი გამოსაკვლევად წარმოდგენილ ხელნაწერების ნიმუშებში ასეთივე ზოგადი და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების მოძებნა და გამოსაკვლევად წარმოდგენილ ხელნაწერში აღმოჩენილ ნიშნებთან შედარება და შეფასება.

გამოსაკვლევ და შესადარებელ ხელნაწერში ერთნაირი ზოგადი ნიშნების არსებობა გარკვეულწილად გვიბიძგებს იქითკენ, რომ მოცემული ხელნაწერი შესაძლებელია შესრულებული იყოს წარმოდგენილი ნიმუშების შემსრულებელი პირის მიერ. მაგრამ ეს მხოლოდ სავარაუდო ახსნა იქნება, რომელიც აუცილებელია დასაბუთებული იქნეს ორივე ხელნაწერში ერთნაირი კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების არსებობით.

ხელნაწერების კვლევის მთელი პროცესი პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად ეტაპებად:

1. მასალების მომზადება ხელნაწერების გამოსაკვლევად;

⁷¹ იქვე, გვ. 224

⁷² შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 124

2. გამოსაკვლევნი და შესადარებელი ხელნაწერი ნიმუშების ცალცალკე გამოკვლევა;
3. ხელნაწერების შედარებითი გამოკვლევა;
4. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შეფასება და მისი პროცესუალური გაფორმება.

ასეთივე შედარებითი კვლევის მეთოდი გამოიყენება ხელმოწერების გამოკვლევის დროს. ამიტომ ხელნაწერების კვლევის ეს ეტაპები მასზე ვრცელდება.⁷³ ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის პროცესში აუცილებელი ხდება საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ სახის დოკუმენტზე გარკვეული პირის ხელმოწერის რეალობის დადგენა, რადგან ნებისმიერი სახის ფაქტის დამადასტურებელი ან უარყოფელი დოკუმენტისათვის იურიდიული მნიშვნელობის მისანიჭებლად აუცილებელია მასზე შესაბამისი მოხელე თანამდებობის პირის ან სხვა პირის ხელმოწერა.

როგორც საგამომიებო–საექსპერტო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამგვარი სახის დოკუმენტებზე ამა თუ იმ პირის ხელმოწერის მაგიერ თვითონ დაინტერესებული პირები აწერენ ხელს და თავიანთი მიზნის მისაღწევად, რომ იგი შეუმჩნეველი და შეუცნობადი დარჩეს სხვა პირებისათვის, ყოველმხრივ ცდილობენ მაქსიმალურად მიახლოვდნენ თავიანთი ხელმოწერა სხვა რეალურად არსებული პირის ხელმოწერას. ამ მიზნის მისაღწევად იყენებენ ხელმოწერის გაყალბების სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს. აქედან აღსანიშნავია ხანგრძლივი მიბადებით ვარჯიშით და სხვა პირის ხელმოწერისათვის დამახასიათებელი ნიშნების თავის ჩვევაში გადმოტანა და საჭირო დოკუმენტზე ამ უცხო პირის სახელით ხელის მოწერა.

უხვო პირის ხელმოწერის მიბადებით შესრულებული ხელმოწერა, თავისი კვლევის მეთოდებით მიეკუთვნება ხელნაწერების გამოკვლევას. სხვა ისეთი ხელმოწერები კი, რომლებიც გადმოტანილია სხვა დოკუმენტზე დედნის სახით არსებული ხელმოწერებიდან სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მიეკუთვნება დოკუმენტების ტექნიკურ–კრიმინალისტიკურ გამოკვლევას.

საექსპერტო–საგამომიებო–სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, დოკუმენტებზე ხელმოწერის გაყალბების ერთ–ერთ ყველაზე გავრცელებული და უფრო ეფექტურია დედანზე არსებული ხელმოწერისათვის დამახასიათებელი ხელის ნიშნების გათვალისწინებით ამ ხელმოწერაზე მიბადებით ხანგრძლივი ვარჯიშით მიღებული შედეგები, როცა პიროვნება იმდენად სრულყოფილად ეუფლება სხვა პირის ხელმოწერის შესრულების ტექნიკას, მთელი თავისი ზოგადი და კერძო ნიშნებით, რომ ამ ხელმოწერის ნამდვილ შემსრულებელ პირსაც უჭირს ამ გაყალბებული ხელმოწერიდან თავისი ნამდვილი ხელმოწერის გამორჩევა.

⁷³ იქვე, გვ. 125

ისევე, როგორც ხელნაწერების, ხელმოწერების დამახასიათებელი ნიშნების ცვალებადობაზეც გარკვეულ გავლენას ახდენს ხელმომწერი პირისაგან სხვა ისეთი დამოუკიდებელი გარემოებები, როგორიცაა: მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის გადატანა ან რაიმე სახის ფიზიკური ტრავმის მიღება; დოკუმენტზე ხელმოწერის დროს მოცემული პირის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა⁷⁴.

თავი VI. კრიმინალისტიკური რეგისტრაცია

6.1. კრიმინალისტიკური რეგისტრაციის არსი და მნიშვნელობა

დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების საქმეში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემების დროულ მიღებას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას ოპერატიული მიზნებისა და ცალკეული სახის საგამომიებომოქმედებების მიზნობრივად და ეფექტურად ჩატარებისათვის. კრიმინალისტიკური აღრიცხვის პროცესი გადის ისეთ საფეხურებს, როგორიცაა: ინფორმაციის მოპოვება, მისი სისტემატიზაციაში მოყვანა და აღრიცხვა, კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე რეგისტრაციაში არსებული საგნებისა და ობიექტების ან მათ შესახებ ინფორმაციის გაცემა⁷⁵.

კრიმინალისტიკური რეგისტრაციის უმთავრესი მიზანია დანაშაულთა გახსნისა და გამოსადიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭირო ცალკეული სახის გარემოებების დადგენის მიზნით პიროვნების, საგნების, ცხოველების, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ნივთების, კვალისა და დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და სხვა სახის ობიექტების გასაგები და კრიმინალისტიკური რეგისტრაციის მწყობრი სისტემით წარმოებულ აღრიცხვიანობას მათი ნიშანთვისებების მიხედვით. იგი ემყარება კრიმინალისტიკაში შემუშავებულ იმ წესს, რომლითაც წარმოებს გამოძიების ინტერესებში შემავალი საგნებისა და ობიექტების აღრიცხვა მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშანთვისებების საფუძველზე.

⁷⁴შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 121

⁷⁵შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 284

კრიმინალისტიკური რეგისტრაციის სისტემას ექვემდებარება პიროვნება, ადამიანის ამოუცნობი გვამი, დატაცებული საგნები, დანაშაულის ჩადენის ხერხები, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სხვადასხვა სახის კვალი, შემთხვევის ადგილზე დარჩენილი დანაშაულის ჩადენის იარაღები, გასროლილი ტყვია და მასრა, ხრახნილულიანი ცეცხლსასროლი იარაღი და სხვ., რომელთა აღრიცხვა ხდება კრიმინალისტიკურ რეგისტრაციაში შემუშავებული მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშან-თვისების მიხედვით კრიმინალისტიკურ ტექნიკაში შემუშავებული სპეციალური ხერხებითა და მეთოდებით ისეთნაირად, რომ მომავალში, საჭიროების შემთხვევაში, შევძლოთ მათი გამოყენება რაიმე ფაქტის დადგენის ან სხვა საგნის ამოცნობისა და დადგენისათვის.

კრიმინალისტიკური რეგისტრაციის უმთავრესი მიზანია, საინფორმაციო ბანკში შეკრიბოს, თავი მოუყაროს და დადგენილი წესით აღრიცხოს გამოსაძიებელ საქმეზე ამა თუ იმ ფაქტის დასადგენად საჭირო მთლიანი რიგი მონაცემები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია: საძიებო საგნებისა და ობიექტების დადგენა; გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამომძიებო მოქმედებების სრულყოფილად ჩატარებისათვის ხელის შეწყობა; სასამართლო-საგამომძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებისათვის საჭირო ცნობების (მაგ: პირის ნასამართლეობის შესახებ ცნობის მიწოდება და სხვ.) გაცემა და სხვ.

სარეგისტრაციო-საინფორმაციო სისტემა წარმოების ფორმის, მოცულობის, სახეობის (ბალისტიკური, დაქტილოსკოპიური და სხვ.), დანიშნულებისა და გამოყენების მასშტაბის მიხედვით შეიძლება იყოს: რესპუბლიკური – სრულიად საქართველოს რესპუბლიკის შსს საინფორმაციო ცენტრი; საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის შსს საინფორმაციო ცენტრი; საქართველოს ქალაქებში შსს პოლიციის მთავრი სამმართველოების საინფორმაციო ცენტრი; პოლიციის რაიონული სამმართველოების საინფორმაციო ცენტრი; საქართველოს ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის საინფორმაციო ცენტრი და სხვ.⁷⁶

ამავე ორგანოებში საინფორმაციო ცენტრი შეიძლება იყოს სხვა ორგანიზაციული სახისა და წმინდა ოპერატიული მიზნებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა ცხელ კვალზე მიდევნებისათვის საჭირო სამოქმედო ტერიტორიაზე პოლიციის სამმართველოებში ტერიტორიული დაქვემდებარების მასშტაბით შექმნილი ისეთი საინფორმაციო-ორგანიზაციული ხასიათის ცენტრები, როგორცაა: ადრე დანაშაულის ჩადენაში მხილებულ პირთა ფოტოალბომები, გახსნილი და გაუხსნელი დანაშაულის ჩადენის ხერხების აღრიცხვა და სხვ.

⁷⁶ შ.ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. I, დანაშაულთა გახსნის მეთოდოლოგია და ტექნიკა, თბ., 2010, გვ. 507

სისხლის სამართლის საქმის გახსნისა და დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, სარეგისტრაციო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, ამჟამად სრულად გამოიყენება საინფორმაციო ტექნიკა და ელექტროგამომთვლელი მანქანები. კრიმინალისტიკურ რეგისტრაციას აწარმოებს შსს-ს საინფორმაციო ბანკი, ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო, ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებები.

კრიმინალისტიკურ რეგისტრაციას ადრე კრიმინალისტიკური აღრიცხვის სახელით მოიხსენიებდნენ. ადრეც არსებობდა „დამშავეთა რეგისტრაცია.“

დამნაშავეთათვის დამატებითი საჯელის სახით სხეულზე წარუშლელი ნიშნის დადების შერჩევა, უმეტეს შემთხვევაში, ხდებოდა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სახეობის მიხედვით, ასე მაგალითად, ქურდს მოკვეთავდნენ ხელს ან ხელის ერთ რომელიმე თითს ან მთელ მტევანს; ჯაშუსს კვეთდნენ ენას ან თხრიდნენ თვალებს; სქესობრივი დანასაულის ჩადენისთვის ასაჭურისებდნენ და ა. შ.

დამნაშავეთა რეგისტრაციის ამგვარი ბარბაროსული მეთოდები არსებობდა ისეთ დიდ სახელწიფოებში, როგორცაა, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, საბერძნეთი და სხვ. ეს მეთოდები მძვინვარებდა საუკუნეების მანძილზე, XII-XIX საუკუნეებში. ზოგიერთ სახელმწიფოში იგი XX საუკუნის დასაწყისშიც მოქმედებდა.⁷⁷

დამნაშავეთა რეგისტრაციის ამ სასტიკ მეთოდებს არავითარი საერთო არ ჰქონდა თანამედროვე კრიმინალისტიკურ რეგისტრაციასთან, რადგან ჯერ ერთი არ არსებობდა კრიმინალისტიკური რეგისტრაციის ჩანასახიც კი, მეორე, მისი პრაქტიკული განხორციელება ხდებოდა ყოველგვარი მეცნიერული კვლევის მეთოდების გამოყენებით.

უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში დამნაშავეთა რეგისტრაციისა და მათი შემდგომი დადგენის მიზნით მეცნიერ-მკვლევარებისა და პრაქტიკული მუშაკების მიერ შემუშავებული იქნა დამნაშავეთა წერილობითი რეგისტრაციის რამდენიმე სახის, კერძოდ, დამნაშავეთა ფოტოალბომისა, სიტყვიერი პორტრეტის შედგენის, ანთროპომეტრული და დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის მეთოდები.

კრიმინალისტიკური რეგისტრაციის შედარებით გავრცელებულ სახეებს მიეკუთვნება:
ბრალდებულის;
წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის;
მსჯავრდებულის⁷⁸;

⁷⁷ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2000, გვ. 499

⁷⁸ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, <https://matsne.gov.ge/>

მიმალვაში, ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა;

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა, ამოუცნობი გვამებისა და ცხოველების რეგისტრაცია;

გატაცებული, ამოღებული, დაკარგული, ან ჩამორთმეული ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და ჭურვის რეგისტრაცია;

შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სხვადასხვა სახის კვალთა (თითის, ფეხის, გატეხის იარაღთა, სატრანსპორტო საშუალებათა და ა.შ.) რეგისტრაცია;

შემთხვევის ადგილზე ან სხვა საგამომიებო მოქმედების განხორციელების შედეგად ამოღებული საგნების, ნივთების, ფასეულობის, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია; გაუხსნელ დანაშაულთა ჩადენის ხერხთა რეგისტრაცია.⁷⁹

კრიმინალისტიკური აღრიცხვის მიზანია დაადგინოს: ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული პირი (ვინ არის იგი, რისთვის იყო რეგისტრირებული, მისი დემოგრაფიული მონაცემები, რა დანაშაული ჩაიდინა, ვის მიერ იყო გასამართლებული, რა სახისა და ზომის სასჯელი შეეფარდა); ვინ არის უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი, ან ვისი გვამია აღმოჩენილი; ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სხვადასხვა სახის კვალი; ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული სხვადასხვა სახის საგნები, ნივთები, დოკუმენტები; ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი და ჭურვი; ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული გაუხსნელი დანაშაულის ჩადენის ხერხი.

რეგისტრაციაში გატარების სხვადასხვა ხერხი არსებობს, რომელთა შორის გავრცელებულია: სარეგისტრაციო ობიექტის ნიშან-თვისებათა აღწერა სპეციალურ ბარათებში, დაქტილობარათების გამოყენება თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის მიზნით, ფოტოალბომების, კარტოთეკებისა და კოლექციების შექმნა; კვალთა აღრიცხვის ბარათები; სათანადო ჟურნალში სარეგისტრაციო მონაცემების შეტანა.

თანამედროვე პირობებში სარეგისტრაციო ცნობების ოპერატიულად მიღების მიზნით, გამოიყენება პერფობარათები და მიკროფილმები; ელექტროგამოთვლითი მანქანები, რომელთა მეხსიერებაში შეაქვთ სარეგისტრაციო ობიექტის ნიშან-თვისებები.⁸⁰

მაშასადამე, კრიმინალისტიკური რეგისტრაციის უმთავრესი მიზანია საინფორმაციო ბანკში შეკრიბოს, თავი მოუყაროს და დადგენილი წესით აღრიცხოს გამოსადიებელ საქმეზე ამა თუ იმ ფაქტის დასადგენად საჭირო მთელი რიგი მონაცემები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია საძიებო საგნებისა და ობიექტების დადგენა; გამოსადიებელ საქმეზე საჭირო ოპერატიულ-სამძებრო

⁷⁹ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 290

⁸⁰ იქვე, გვ. 291

ღონისძიებებისა და საგამომიებო მოქმედებების სრულყოფილად ჩატარებისათვის ხელის შეწყობა; სასამართლო-საგამომიებო და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებისათვის საჭირო ცნობების გაცემა და სხვა.⁸¹

6.2. კრიმინალისტიკური რეგისტრაციის სახეები

განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ცოცხალი პირებისა და ამოუცნობი გვამების რეგისტრაცია მათი ხელის თითების ქარგების მიხედვით, რაც კრიმინალისტიკაში დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის სახელითაა მოხსენიებული. აგრეთვე, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა რეგისტრაცია.

კრიმინალისტიკური რეგისტრაციის დამოუკიდებელი სახით ჩამოყალიბდა რეგისტრაციის ისეთი სახეები, როგორცაა:

1. დანაშაული ჩადენაში მხილებულ პირთა დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია;
2. მონოდაქტილოსკოპიური რეგისტრაცია;
3. ამოუცნობი გვამების რეგისტრაცია;
4. უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა რეგისტრაცია;
5. დატაცებული, დაკარგული და ამოღებული ნომრიანი საგნებისა და ნივთების რეგისტრაცია;
6. ხრახნილლულიანი ცეცხლასასროლი იარაღების რეგისტრაცია გასროლილ ტყვიაზე ლულის ანაბეჭდის თავისებურებასთან ერთად;
7. დაკარგული ცხოველების რეგისტრაცია;
8. დატაცებული და ძებნაში არსებული ავტომანქანების რეგისტრაცია;
9. დანაშაულის ჩადენის ხერხების რეგისტრაცია;
10. გატეხის იარაღების კვალთა რეგისტრაცია და სხვ.

კრიმინალისტიკური რეგისტრაციის საგნებსა და ობიექტებად მიჩნეულია:

1. მიმალვაში მყოფი დანაშაულის ჩამდენი პირები;
2. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული პირი;
3. კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდიდან განთავისუფლებული პირი;
4. მსჯავრდებული;
5. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი;

⁸¹ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 290

6. მოპარაული და დაკარგული ნივთები;
7. ბრალდებულთან აღმოჩენილი და ამოღებული საგნები;
8. ამოუცნობი გვამი, როცა მას სხეულზე მიყენებული აქვს სხვადასხვა სახის დაზიანებები და სხვ.⁸²

დანაშაულის ჩადენაში მხილებულ პირებისა და მსჯავრდებულთა რეგისტრაცია წარმოებს იმ მონაცემების საფუძველზე და ნიშან-თვისებების მიხედვით, რაც ხელთ აქვს გამოძიებას საძიებო პირის შესახებ. მიმალვაში მყოფი დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის შესახებ რეკომენდირებულია შედგეს ძებნის საქმე და მასში აისახოს მოცემული საძიებო პირისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. კერძოდ, მისი გარეგნობა, სახის ფორმა და მოყვანილობა, მისი ბიოგრაფიული მონაცემები, ჩადენილი დანაშაულის სახე და ხერხი, მისი საამოსაცნობო ფოტოსურათები, იმ დანაშაულის მოკლე ფაბულა და კვალიფიკაცია, რაშიც იმხილება იგი და სხვ.

იმ შემთხვევაში თუ ძებნის ობიექტია მსჯავრდებული ან ბრალდებული და მისი დაქტილოსკოპიური ბარათები გამოძიებას მომარჯვებული აქვს, ანკეტურ მონაცემებთან ერთად საჭიროა დაიგზავნოს მისი ხელის თითების ბოლო ფლანგებზე მოთავსებული დვრილოვანი ქარგების ფოტოსურათებიც. დაკავების შემთხვევაში საჭიროა აუცილებლად შემოწმდეს, გაუხსნელ საქმეებზე შემთხვევის ადგილას აღმოჩენილი ხელის თითების კვალი ხომ არაა დატოვებული ძებნაში მყოფი ამ პირის მიერ. საჭიროა გაირკვეს, აგრეთვე, ჩადენილი ხერხების მიხედვით ხომ არ ემსგავსება ძებნაში მყოფი პირის ან სხვა, ადრე დანაშაულის ჩადენი პირის მიერ და ერთი და იმავე „ხელწერითა“ თუ არა ორივე ეს დანაშაული ჩადენილი და სხვა მთელი რიგი გარემოებები.

დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირების რეგისტრაცია შეიძლება ჩატარდეს ანბანური ანუ სახელობითი და დაქტილოსკოპიური ანუ ხელის თითების ქარგების ანაბეჭდების მიხედვით.

უგზო-უკვლოდ დაკარგული პირებისა და ამოუცნობი გვამების რეგისტრაციას ბევრი საერთო ნიშანი აქვს. ამიტომ მათი ერთ ასპექტში განხილვა მიზანშეწონილია.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება პირი, რომლის ადგილსამყოფელი და მისი ყოფნა-არყოფნის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მოიპოვება. ასეთ გარემოებას უმეტესად ადგილი მაშინ აქვს, როცა პირი ისე წავიდა სახლიდან, რომ არავინ გააფრთხილა თავისი წასვლის შესახებ, ან, როცა არასრულწლოვანი გაიპარა სახლიდან, სკოლიდან, სავადმყოფოდან, სასტუმრო ადგილიდან და გატარებული დასაძებნი ღონისძიებების მიუხედავად, ვერ იქნა აღმოჩენილი და დადგენილი მისი ადგილსამყოფელი.

⁸²რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 290

უგზო–უკვლოდ დაკარგული პირის რეგისტრაცია წარმოებს ანბანური, ანუ ალფავიტური წესით შედგენილი ბარათით, რომელშიც დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მისი გარეგნული ნიშნები. პირის უგზო–უკვლოდ დაკარგვის შესახებ განმცხადებლის მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით: დაკარგულის სიმაღლე, მისთვის დამახასიათებელი ყველა სახის თვალსაჩინო სპეციფიკური ნიშნები, სხეულის გარკვეულ ნაწილებზე არსებული სვირინგების სახეობა და განლაგება, ბიოგრაფიული მონაცემები – დაბადების წელი და ადგილი, გვარი, სახელი, მამის სახელი, განათლება, პროფესია, სპეციალობა, სამუშაო ადგილი, მისი საამოსაცნობო ფოტოსურათები და გარეგნული ნიშნების აღწერა სიტყვიერი პორტრეტის სახით, მისი ჩაცმულობა, კბილების აპარატის მდგომარეობა და სხვა.

ასევე, ამოუცნობი გვამების რეგისტრაცია უნდა მოხდეს ამოუცნობი გვამების აღმოჩენის შესახებ შედგენილი ოქმების საფუძველზე გვამის გარეგნობისა და მისთვის დამახასიათებელი სხვა ინდივიდუალური ნიშნების ზუსტი აღწერით, ამასთან, თუ გვამი ძალიან გახრწნილი არაა, აუცილებლად უნდა მოხდეს – მისი ხელის თითების ქარგების გადატანა სპეციალურ დაქტილოსკოპიურ ბარათზე. მის სარეგისტრაციო ბარათში შეიტანება აგრეთვე სამედიცინო ექსპერტიზით დადგენილი მისი ასაკი, სიკვდილის გამომწვევი მიზეზი, სიკვდილის დადგომის დრო და ადგილი, სხეულზე მიყენებული დაზიანების ხარისხი, ლოკალიზაცია და გვამის სხეულზე არსებული სხვა მთელი რიგი სახის სპეციფიკური ინდივიდუალური ნიშნები.

გვამის შემდგომი ამოცნობის მიზნით საჭიროა შედგენილი იქნეს ორი საამოსაცნობო ბარათი და მას აუცილებლად დაერთოს გვამის დაქტილოსკოპიური ბარათი. საამოსაცნობო ბარათში უნდა მიეთითოს აღმოჩენილი გვამის სქესი, სავარაუდო ასაკი, მისი აღმოჩენის დრო და ადგილი, სიკვდილის დადგომის დრო და მიზეზი, შედგეს მისი სიტყვიერი პორტრეტი, აღიწეროს მისი პირისა და კბილების მდგომარეობა, მისი ჩაცმულობა და ტანსაცმლის მდგომარეობა, მასთან არსებული საგნები და დოკუმენტები, მის სხეულზე აღმოჩენილი რაიმე განსაკუთრებული ნიშნები. ამასთან, ბარათს უნდა დაეკრას საამოსაცნობო წესით მარცხენა და მარჯვენა პროფილში და ანფასში გადაღებული სამი ფოტოსურათი.

ცეცხლსასროლი იარაღების რეგისტრაციის მიზანია იარაღის გამოყენებით ჩადებულ დანაშაულთა გახსნა და დაკარგული იარაღის დაძებნა⁸³. აღრიცხვას ექვემდებარება როგორც დაკარგული, ისე დატაცებული ცეცხლსასროლი იარაღი, ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღი, უკანონოდ ტარების შემთხვევაში ამოღებული ისეთი საბრძოლო იარაღები, როგორიცაა: საბრძოლო, სასწავლო, სპორტული და ხრახნილლულიანი სანადირო თოფები. აღრიცხვა

⁸³რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 301

მიმდინარეობს საბარათო ფორმით, ისე, რომ ყველა იარაღზე ცალცალკე დგება და ივსება სარეგისტრაციო ბარათი. თუ რეგისტრირებულია რომელიმე სახის დაკარგული ცეცხლსასროლი იარაღი, მის მიმართ არსებული სარეგისტრაციო ბარათი გაუქმდება მისი მოძებნისთანავე.

მოცემული სახის რეგისტრაციას ექვემდებარება არა მარტო დატაცებული ან დაკარგული ცეცხლსასროლი იარაღები, არამედ ყველა – სახელმწიფო და კერძო პირთა საკუთრებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღებიც. ამასთან, ცეცხლსასროლი იარაღების სარეგისტრაციო ბარათში აღინიშნება არა მარტო იმ იარაღების კუთვნილი ნუმერაცია, არამედ მათგან ექსპერიმენტული გასროლით მიღებული ბალისტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად გამზადებული ტყვიის გარსზე მიკროსკოპიული გამოკვლევით აღმოჩენილი მისი კუთვნილი კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების ამსახველი ფოტოილუსტრაციებიც. ანალოგიური გზით ხდება გაუხსნეელ საქმეებზე შემთხვევის ადგილას ან დაზარალებულის გვამის დათვალიერების დროს აღმოჩენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის რეგისტრაცია.

კერძოდ, შემთხვევის ადგილზე ან ადამიანის გვამიდან ამოღებულ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიას ათავსებენ შესადარებელ მიკროსკოპში და კომპიუტერის ეკრანზე გამოჩენილ ტყვიის გაშლილ გარსზე აღმოჩენილ კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნებს აფიქსირებენ და ბალისტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად გამზადებულ ფოტოილუსტრაციას ათავსებენ მოცემული სახის სარეგისტრაციო ბარათზე, მასში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ სად, როდის, ვის მიერ, რა საქმესთან დაკავშირებით და როგორ იქნა აღმოჩენილი და ამოღებული, ვინ აწარმოებს საქმის გამოძიებას და სხვა.⁸⁴

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია, რომელიც კრიმინალისტიკური რეგისტრაციის ციკლის სისტემაში ერთ საუკუნეზე მეტია გაბატონებული სახით, უცვლელად წარმოებს ათთითიანი და ერთთიანი ანუ მონოდაქტილოსკოპიური რეგისტრაციის სახით.

მოცემული სახის რეგისტრაციისათვის დანაშაულის ჩადენაში მხილებულს, ბრალდებულს და მსჯავრდებულს სპეციალურ დაქტილოსკოპიურ ბარათზე უღებდნენ ათივე თითის ანაბეჭდს და მასზე გამოჰყავდათ შესაბამისი ძირითადი და დამატებითი ფორმულა და დაქტილოსკოპიის სარეგისტრაციო ცენტრში იქმნებოდა ორი ძირითადი განყოფილება: ერთ–ერთ ასეთ ძირითად განყოფილებაში თავს იყრიდა საგამოძიებო–სასამართლო ორგანოების მიერ დანაშაულის ჩადენაში

⁸⁴ შ.ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1, გამომც. „ნეკერი“ თბ., 1995, გვ. 236

მხილებულ პირთა დაქტილოსკოპიური ბარათები, მეორეში კი გაუხსნელ საქმეებზე შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითების კვალიდან გადაღებული ფოტოსურათები.

დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია იყო და არის ცოცხალი პირებისა და ამოუცნობი გვამების აღრიცხვა სპეციალური წესით, მათი ხელის თითების ბოლო ფალანგებზე მოთავსებული დვრილოვანი ქარგების თავისებურებათა მიხედვით, პიროვნების შემდგომში დადგენის მიზნით.

პირის ნამდვილი ვინაობა, მისი ანკეტური და გარეგნული მონაცემების შეცვლის მიუხედავად, შეიძლება დადგენილიყო, თუ იგი ადრე რეგისტრირებული იყო და მისი დაქტილოსკოპიური ბარათი ინახება სარეგისტრაციო ცენტრში თუ მისი ხელის თითების ანაბეჭდი აღმოჩენილი და ამოღებული იქნებოდა მის კუთვნილ რომელიმე საგანზე და დადგინდებოდა, რომ ეს ანაბეჭდი დატოვებული იყო ამ უცნობი პირის ხელის თითებით.

პიროვნების რეგისტრაციას ხელის თითების ქარგების მიხედვით მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმის დასადგენად, რომ მოცემული პირი ადრე ნამდვილად იყო რეგისტრირებული, როგორც ბრალდებული ან მსჯავრდებული, არამედ ამოუცნობი გვამების და სხვა ნებისმიერი პირის დასადგენადც, თუკი ამ უკანასკნელის ხელის თითების ანაბეჭდი წინასწარ გვექნება მომარჯვებული. როგორც წესი, პირთა დაქტილოსკოპიური რეგისტრაციას მიმართავენ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ან ბრალდების წარდგენის შემდეგ, ან კიდევ წინასწარი გამოძიების პროცესში პირისათვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შერჩევის ან განსასჯელი პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში.

პიროვნების დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია, რაც ერთ საუკუნეზე მეტია უცვლელად ემსახურება საგამოძიებო მიზნებს, დამყარებული იყო და არის ადამიანის ხელის თითების ბოლო ფალანგებზე მოთავსებული ქარგების კლასიფიკაციის იმ ზუსტისტემაზე, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს შეიმუშავეს დაქტილოსკოპიის თვალსაჩინო მკვლევარებმა - გალტონმა, გენრიმ და როშერმა.⁸⁵

⁸⁵შ.ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. I, დანაშაულთა გახსნის მეთოდოლოგია და ტექნიკა, თბ., 2010, გვ. 521

VII თავი. მტკიცებულების სახით პოლიგრაფის და ოდოროლოგიის გამოყენების პრობლემა

7.1. პოლიგრაფი

ცნობილია, რომ კრიმინალისტიკა თავისი ამოცანების გადასაწყვეტად ცდილობს გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მრავალი სხვადასხვა მიღწევა. კრიმინალისტიკის ძირითადი მტკიცებულებითი ინფორმაციის აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და გამოყენებისათვის საშუალებების, მეთოდების, ხერხების, მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების შემუშავება. შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალისტიკური მეცნიერების წარმომადგენლები ამ რთულ ამოცანას თავს ართმევენ. განსაკუთრებით შესამჩნევია ამ მიმართულებით წარმატებები კრიმინალისტიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღმოჩენასა და გამოკვლევაში, რომლებიც ნივთიერი ობიექტების შემადგენლობაშია. უკანასკნელ წლებში შემუშავებულ იქნა ეფექტიანი საშუალებები, მასალები, მეთოდები და ტექნოლოგიები ნივთიერებათა მიკროკვლევისა და მიკრორაოდენების ანალიზისათვის, გაფართოვდა ხელწერის მცოდნეობის, ბალისტიკის, დაქტილოსკოპიის შესაძლებლობები, ფართოდ ხორციელდება სარეგისტრაციო-სააღრიცხვო და საექსპერტო საქმიანობის კომპიუტერიზაცია.⁸⁶

ამასთანავე, სისხლის სამართალწარმოებაში სხვადასხვა მეცნიერებათა მონაცემების ჩართვის სფეროში შეინიშნება გარკვეული სპეციფიკა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საბუნებისმეტყველო ცოდნა და ინსტრუმენტალური მეთოდოლოგია ჩართულია უპირატესად იმ ინფორმაციის გამოვლენისა და გამოკვლევის საქმეში, რომელიც შედის ნივთიერ მტკიცებულებებში, რაც შეეხება იდეალურ ინფორმაციას, ადამიანის მეხსიერებაში არსებულ მონაცემებს, ამ სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ინსტრუმენტალური მეთოდოლოგიის მიღწევების გამოყენება ნაკლებად შესამჩნევია.

კრიმინალისტიკური მეცნიერება და პრაქტიკა ცდილობს, შეიმუშაოს ტექნიკური საშუალებები არა მარტო ფიქსაციის, არამედ ნამდვილი ინფორმაციის მიღებისათვის

⁸⁶შ.ფიცხელაური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005, გვ. 151

განსაზღვრული პირებისაგან, რომლებიც ფლობენ ცოდნას გამოსამიებელი სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ.⁸⁷

გარკვეული შედეგები მიღებულ იქნა პოლიგრაფის შექმნით. „პოლიგრაფი“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „ჩანაწერთა სიმრავლეს“. პოლიგრაფის შექმნის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული საფუძველი იყო ობიექტური ცოდნა იმის შესახებ, რომ ადამიანის ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესები იცვლება არა მარტო საკვების, წყლის, ტემპერატურის ან გარემოს განათებულობის მოზმედების შედეგად, არამედ, აგრეთვე ზემოქმედების სხვა ფორმების გამოყენების დროს. ესა თუ ის ვერბალური ინფორმაცია, სხვადასხვა ობიექტის დემონსტრაცია არაერთნაირ ფიზიოლოგიურ რეაქციას იწვევს.⁸⁸

როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან გახდა შესამჩნევი, რომ დამნაშავეს, მის მხილებასთან დაკავშირებული შიშის გამო, აღენიშნებოდა გარკვეული ფიზიოლოგიური ფუნქციების ცვლილებები. დამკვირვებლები თვალყურს ადევნებდნენ მათ დინამიკას და ფიზიოლოგიური ცვლილებების მგრძნობიარე რეგისტრატორად სხვადასხვა საშუალებებს გამოიყენებდნენ. ასე მაგ: ძველ ჩინეთში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილს ბრინჯის გამოყენებით გამოცდიდნენ ხოლმე: მას პირში უყრიდნენ მშრალ ბრინჯს და ამ დროს წაუყენებდნენ ბრალს მიიჩნეოდა, რომ თუ ბრინჯი ასეთივე დარჩებოდა (მხილების შიშისაგან ნერწყვების გამოყოფა ჩერდებოდა), მაშინ ბრალი დამტკიცებულად ითვლებოდა.⁸⁹

აფრიკაში კი ეჭვმიტანილს ხელში აძლევდნენ ფრინველის მცირე ზომის კვერცხს, რომლის გარსიც ძალზედ ფაქიზი იყო. ხელის მცირეოდენი მოჭერის შემთხვევაშიც კი იგი შეიძლებოდა გამტყდარიყო. ეჭვმიტანილებს კვერცხი უნდა გადაეცათ ერთმანეთისათვის - მიიჩნეოდა, რომ იგი ვერ გაუძლებდა გამოცდას, კვერცხს გატეხდა და ამდენად, მოხდებოდა მისი მხილება.⁹⁰

ჯერ კიდევ შორეულ. 1730 წელს დიდმა რომანისტმა დანიელ დეფომ გამოაქვეყნა ტრაქტატი, რომელიც შეეხებოდა ღამით ქუჩაში მარცვასა და სხვა კანონდარღვევებს. სახელგანთქმული რობინზონ კრუზოს ავტორი აყენებდა საკითხს, დამნაშავეობასთან ბრძოლის მიზნით მოეხდინათ ეჭვმიტანილის პულსის ანალიზი. როგორც ჩანს, აღნიშნული მეთოდის შესახებ ცნობილი იყო იმ დროისათვის განათლებულ ადამიანთა წრეებში.⁹¹

⁸⁷ იქვე., გვ. 151

⁸⁸ შ.ფიცხელაური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005, გვ. 151

⁸⁹ ს.ჭელიძე, ნ.თევდორაძე, „პოლიგრაფი“-ს გამოყენების პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, #4, თბ., 2014, გვ. 35

⁹⁰ იქვე., გვ. 35

⁹¹ იქვე., გვ. 35

სიცრუს გამოვლენის ინსტრუმენტული მეთოდი სათავეს იღებს იტალიელი ფიზიოლოგის, ანჯელო მოსოს ნაშრომებიდან, რომელმაც 1877 წელს სპეციალური ხელსაწყო - პლექტიზმოგრაფის გამოყენებით დაადგინა, რომ პირისათვის ნიმუშების წარდგენა, რომელიც ბადებდა შიშს, აისახებოდა გულისცემის სიხშირეზე.⁹²

ცნობილმა იტალიელმა კრიმინალისტმა ჩეზარე ლომბროზომ 1881 წელს ექვმიტანილთა დაკითხვისას გამოიყენა ჰიდროსფიქმოგრაფი - ხელსაწყო, რომლის საშუალებით დიაგრამაზე ფიქსირდებოდა დასაკითხი პირის არტერიული წნევის ცვალებადობა, რაც შემდგომში დეტალური ანალიზის საშუალებას იძლეოდა. 1895 წელს მან თავის ნაშრომში - „დამნაშავე ადამიანი“, აღწერა ერთ-ერთი ძარცვის საქმეზე ჰიდროსფიქმოგრაფის გამოყენების დადებითი პრაქტიკული ცდა. „მოგვიანებით“, 1902 წელს, ჩ. ლომბროზო 6 წლის მკვლელობის საქმის გამოძიებაში მონაწილეობდა. როდესაც მკვლელობაში ექვმიტანილ პირს მოკლული გოგონას სურათი წარუდგინეს, პულისს უეცარი ცვლილება არ დაფიქსირებულა. ამ შემთხვევით ექვმიტანილი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი“.⁹³

ა. მოსომ, რომელიც ჩ. ლომბროზოსთან ერთად მუშაობდა, აღმოაჩინა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ასევე იცვლებოდა სუნთქვის მოდელი. 1914 წელს გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის პროფესორმა, იტალიელმა ვიტორიო ბენუსიმ, რომელიც სწავლობდა ფსიქოფიზიკის პრობლემებს, გამოაქვეყნა სუნთქვის პროცესის დინამიკის კვლევის მონაცემები: სუნთქვითი ციკლების სიხშირე და სიღრმე, ასევე ჩასუნთქვის ხანგრძლივობა ამოსუნთქვის ხანგრძლივობასთან შეფარდებით იცვლებოდა, როცა გამოსაკვლევი პირი ცრუობდა.

პოლიგრაფი, არსებითად, მრავალმიზნობრივი ხელსაწყო, რომლის დანიშნულებაც ერთდროულად მოახდინოს რამდენიმე ფიზიოლოგიური პროცესის (4-დან 16-მდე) რეგისტრაცია, რომლებიც დაკავშირებულია ემოციების წარმოშობასთან: სუნთქვა, სისხლის წნევა, ბიოდენები (ტვინის, გულის, ჩონჩხისა და გლუვი მუსკულატურის და ა.შ). ამ სახის ხელსაწყოები ფართოდ გამოიყენება კლინიკურ მედიცინაში (განსაკუთრებით, რენიმაციული მიზნებისათვის), სამედიცინო-ბიოლოგიურ გამოკვლევებში, გამოყენებით ფსიქოფიზიოლოგიაში, რომლის ერთ-ერთ კერძო ნაწილს წარმოადგენს სიცრუს დეტექცია. სპეციალური ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევა რთული მრავალეტაპიანი პროდუცტურაა, რომლის დროსაც პოლიგრაფი ასრულებს ერთადერთ ფუნქციას - არეგოსტრირებს ადამიანის ორგანიზმის სწრაფად მიმდინარე რეაქციებს მისთვის გადაცემული ინფორმაციის პასუხად.

⁹² იქვე., გვ. 35

⁹³ ი. ჩხეიძე, მტკიცებულებათა და დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 149

კონკრეტული ადამიანისაგან ინფორმაციის მიღების ფსიქოფიზიოლოგიური ხერხი, რადროსაც ხდება მისთვის შეტყობინებული ფაქტებისადმი (ან მისთვის წარდგენილი საგნებისა და პირებისადმი) მოქცევის (დამოკიდებულების) შეფასება, ბაზირებულია ობიექტურად არსებულ კავშირზე მოცემული ადამიანის ფსიქიკაში ღიად მიმდინარე პროცესებსა და მისი ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ფიზიოლოგიური გამოვლინებების გარედან აპარატული დაკვირვების მონაცემებს შორის. ამასთან, გარეგანი სტიმული (საგანი ან დასმული კითხვა), რომელიც აძლევს ადამიანს ინფორმაციას მის მეხსიერებაში აღბეჭდილ მოვლენაზე, მყარად იწვევს ფსიქოფიზიოლოგიურ რეაქციას, რაც აჭარბებს ანალოგიურ სტიმულებზე რეაქციას და რაც მას წარედგინება იმავე პირობებში, მაგრამ ზემოხსენებულ მოვლენასთან კავშირის გარეშე.⁹⁴

შემდგომმა მეცნიერულმა დამუშავებამ, პოლიგრაფის ექსპერიმენტალურმა და უფრო ფართო პრაქტიკულმა გამოყენებამ მთელი დამაჯერებლობით ცხადყო, რომ ამ ხელსაწყოს ჩვენება სავსებით ობიექტურია. მაგრამ, პოლიგრაფი ახდენს არა სიცრუის რეგისტრაციას, არამედ გამოსაცდელი პირის ბუნებრივ, ფსიქოფიზიოლოგიურ რეაქციებს, რომლებიც აჩვენებენ თუ, სახელდობრ, რომელი სახეები, ობიექტური და, კერძოდ, როგორი ინფორმაცია იწვევს გამოკვლევის ქვეშ მყოფ პირის დაძაბულობის, დისკომფორტის მდგომარეობას.⁹⁵

განზოგადოება, რომლის საშუალებაც გვეძლევა ამ პრობლემატიკის ირგვლივ ლიტერატურის შესწავლით, და პოლიგრაფიის გამოყენების პრაქტიკის გამოცდილება საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით, სახელდობრ: დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმიანობაში; კადრების შერჩევასა და განსაზღვრული კოლექტების საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

სავსებით გასაგებია, რომ პოლიგრაფის გამოყენებას საქმიანობის დასახელებულ სახეებში თავისი სპეციფიკა აქვს. განსაკუთრებული თავისებურება გააჩნია პოლიგრაფს დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების დროს. ამ სფეროში შეიქმნა პრობლემური სიტუაცია, რომელიც ხასიათდება პოლიგრაფის გამოყენებისადმი ორგვარი დამოკიდებულებით. ერთი მხრივ, დანაშაულთა გახსნის პრაქტიკა გვიჩვენებს მის მაღალეფექტიანობას საძიებო ინფორმაციის დადგენაში ექვიმტანილების გამოკითხვისას, მეორე მხრივ, არ არის გადაწყვეტილი საკითხი მიღებული მონაცემების მტკიცებულებითი მნიშვნელობის შესახებ.⁹⁶

⁹⁴ შ.ფიცხელაური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005, გვ. 153

⁹⁵ იქვე, გვ. 153

⁹⁶ იქვე, გვ. 154

ლიტერატურაში მოყვანილია პოლიგრაფის ეფექტიანად გამოყენების ხშირი დამოწმება. მაგალითად, ცნობილი საბჭოთა მზვერავი რუდოლფ აბელი უარს ამბობს ამერიკული სპეცსამსახურებისათვის რაიმე სახის ჩვენებების მიცემაზე. მაშინ იგი მოათავსეს ჩაბნელებულ ოთახში, მის სხეულზე დაამაგრეს გადამცემები და ახდენდნენ სხვადასხვა სლაიდების დემონსტრირებას. ეს იყო სლაიდების უზარმაზარი რაოდენობა კონტინენტების, ცალკეული ქვეყნების, ქალაქების რუკების გამოსახულებებით. როდესაც მზვერავმა დაინახა საბჭოთა კავშირის კონტურები, მას სისხლის წნევამ აუწია და სუნთქვა გაუხშირდა. ამან შექმნა საფუძველი, რომ უფრო დეტალურად დაემუშავებინათ ვერსია იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნების ინტერესებისათვის მუშაობდა იგი, რაც შემდეგში დადასტურდა აგრეთვე სხვა მონაცემებით. შემდეგ ევრანზე გამოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების სურათები. მზვერავს არ ჰქონდა რა ეჭვი, ადვილად რეაგირებდა, ხოლო გადამცემები წარმატებით აფიქსირებდნენ ცვლილებებს მხოლოდ იმ გეოგრაფიულ წერტილებზე, სადაც მას საიდუმლო სამალავები და შეხვედრის ადგილები ჰქონდა. აბელის ფიზიოლოგიურმა რეაქციებმა საშუალება მისცეს „დამკითხველებს“ გამოევლინათ ქუჩა, სახლი, ბინა და თვით სამალავიც კი.⁹⁷

როგორც ჩანს, პოლიგრაფის გამოყენება საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს მეტად ძვირფასი ინფორმაცია, რომელთა მიღება სხვა ხერხებით უაღრესად რთული და შეუძლებელია. ეს ინფორმაცია შეიძლება მივაკუთვნოთ ეგრეთ წოდებულ მაორიენტირებელ ინფორმაციას. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა: უტყუარობის დიდი ხარისხით იქნეს შეფასებული შემოწმებულ პირთა მიერ შეტყობინებული ინფორმაციის უეჭველობა; მიღებულ იქნეს რეალური მონაცემები ვერსიების შემოწმების გზების წამოყენებისა და განსაზღვრისათვის; დადგინდეს პირის მონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში ანდა მის მომზადებასა და დაფარვაში; უზრუნველყოფილ იქნეს ჭეშმარიტი ჩვენებების მიღება შესამოწმებელი პირებისაგან; განსაზღვრულ იქნეს დანაშაულის კვლევების დაფარვის ადგილები, კონკრეტიზებულ იქნეს დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა წრე.⁹⁸

დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა პოლიგრაფის მეშვეობით მიღებული მონაცემები სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნეს დასაშვებ მტკიცებულებად. უნდა აღინიშნოს, რომ რიგ ქვეყნებში მონაცემები, მიღებული ფსიქოფიზიოლოგიური გამოკითხვის მეშვეობით, სასამართლოს მიერ მტკიცებულებებად არ განიხილება (მაგ. გერმანია, პოლონეთი). კატეგორიულად კრძალავს პოლიგრაფის გამოყენებას

⁹⁷ შ.ფიცხელაური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005, გვ. 155

⁹⁸ იქვე გვ. 157

ასევე ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თუნდაც მის გამოყენებას ბრალდებული მოითხოვდეს.⁹⁹

მიუხედავად იმისა, რომ პირველი პოლიგრაფი შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში და პოპულარობა მოიპოვა დანაშაუთა გამოძიების პროცესში დაკითხვის განხორციელებისას - აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ თავი გადაწყვეტილებაში - *Unaited states vs Scheffer* (1998) დაადგინა, რომ საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა პოლიგრაფის გამოყენებით მიღებული ინფორმაცია სასამართლო პროცესზე გამოყენებულ იქნას, როგორც მტკიცებულება, უნდა გადაწყდეს დამოუკიდებლად შტატების და ოკრუგების ფარგლებში.¹⁰⁰ სასამართლოების აბსოლიტურ უმრავლესობაში პოლიგრაფით მიღებული ინფორმაცია მტკიცებულებად არ დაიშვება.¹⁰¹

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევის საბოლოო შედეგებზე:

ა. პოლიგრაფოლოგის განათლება - სპეციალისტის პროფესიული ცოდნის დონე და ხარისხი გადაწყვეტი ფაქტორია პოლიგრაფის მეშვეობით ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევისას.

ბ. შედარების არასწორი ინტერპრეტაცია - დეტექტორი ზომავს არა ტყუილს, არამედ ორგანიზმის ფიზიოლოგიური რეაქციის ცვლილებას, რომელიც მიუთითებს გამოსაკვლევი პირისათვის წარდგენილი მონაცემების მნიშვნელობაზე. გამოკვლევისას სპეციალისტების მიერ არსებული მეთოდებისა და საბაზისო პრინციპების დაუცველობამ შესაძლებელია შეცდომებამდე მიგვიყვანოს.

გ. გამოსაკვლევი პირის თავდაჯერება - გამოსაკვლევი პირის ორგანიზმის რეაქცია ასახავს არა ფაქტების ნამდვილობას, არამედ მხოლოდ რწმენას მათ ნამდვილობაში ან სიცრუეში. გამოსაცდელი პირი შეიძლება ფიქრობდეს, რომ მისი ცოდნა ნამდვილია, თუმცა სინამდვილეში იგი არ ასახავს ობიექტურ რეალობას.

დ. პოლიგრაფოლოგის თავდაჯერება - თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიგრაფის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია შეიძლება ფართოთ იქნეს იტერპრეტირებული, იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტი თავდაჯერებულია (დარწმუნებულია) გამოსაკვლევი პიროვნებასთან მიმართებაში, არსებობს არასწორი (ცრუ) დასკვნის საშიშროება.

ე. უკუმოქმედება - ადასტურებენ, რომ არსებობს მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც გამოსაცდელმა პირმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ჩვენების ფორმირებაზე, გამოიყენებს რა

⁹⁹ <http://ec-dejavu.ru/p.polygraph.html>.

¹⁰⁰ http://Wikipedia.org/wiki/Unaited_states_vs_Scheffer, 1998

¹⁰¹ ს.ჭელიძე, ნ.თევდორაძე, „პოლიგრაფი“-ს გამოყენების პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, #4, თბ., 2014, გვ. 37

სპეციალისტისათვის შეუმჩნეველ მანიპულაციებს. ასე, მაგალითად, აშშ-ს და ნატოს სამხედრო მოსამსახურეთათვის არსებობს სპეციალური პროგრამა R2I (Resistance to interrogation).

ვ. შესამოწმებელი პირის მდგომარეობა - შესამოწმებელი პირის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური გამოფიტვა (დაუძლურება); გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური აშლილობის ან ამ დაავადების გამომწვევი ფაზის არსებობა, დაკავშირებული გულსისხლ-ძარღვთა და სასუნთქ სისტემებთან; გამოსაცდელი პირის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ყოფნა, ძლიერმოქმედი სამკურნალო პრეპარატების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების რეგულარული მოხმარება, პირის მცირეწლოვნება და სხვა.¹⁰²

ასევე, ყურადსაღებია 2003 წლის აშშ-ს ნაციონალური აკადემიის ანგარიში „პოლიგრაფი და სიცრუის გამოვლენა“. ნაციონალურმა აკადემიამ გამოარკვია, რომ პოლიგრაფის მეშვეობით ჩატარებული გამოკვლევების უმრავლესობა იყო „არასაიმედო, არამეცნიერული და მიკეძობული“. ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ დადგინდა, რომ სხვადასხვა მოვლენებთან მიმართებაში ადამიანთა დიდი ჯგუფის პოლიგრაფზე შემოწმება არ იძლევა შემთხვევით გამოცნობაზე უკეთეს შედეგს. ამასთან, ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ტესტირება დანაშაულთან მიმართებაში, იძლევა საშუალებას, გავარკვიოთ სიცრუე და სინამდვილე უფრო უკეთ, ვიდრე შემთხვევითი გამოცნობის დროს.¹⁰³

მიუხედავად ზემოთთქული მრავალი დადებითი მოსაზრებისა და ჩატარებული კვლევისა, რომლის უარყოფაც არ შეიძლება, პოლიგრაფის გამოყენებაზე გამოძიების პროცესში სიცრუის და სინამდვილის დასადგენად, როგორც ვნახეთ, არსებობს არაერთი უარყოფითი მეცნიერულად დადასტურებული მოსაზრება პოლიგრაფის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის სანდოობისა. აქედან გამომდინარე მე ვეთანხმები იმ მეცნიერების მოსაზრებებს და ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომლის საფუძველზეც ურყოფილია პოლიგრაფის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად არ დაშვებასთან დაკავშირებით.

7.2. ოდოროლოგია

დანაშაულთა საგამოძიებო სურათი, სხვა კვალთან ერთად სუნის კვალსაც მოიცავს, რომელიც მნიშვნელოვანი კრიმინალისტიკური ინფორმაციის მარეხელია. პრაქტიკაში

¹⁰² ს.ჭელიძე, ნ.თევდორაძე, „პოლიგრაფი“-ს გამოყენების პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, #4, თბ., 2014, გვ. 38

¹⁰³ The Polygraph and Lie Detection, Washington, 2003

ამოცნობადი და აღმოჩენადია ისეთი სუნის კვალი, როგორცაა: ლპობის, ნამწვრობის, პარფიუმერიის, ლაქ-საღებავების, საწვავ-საპოხი, მედიკამენტების და სხვა მრავალი სუნი.¹⁰⁴

სუნის კვალის გამოყენება ოდითგანვე გამოძიების ერთ-ერთ ეფექტიან ხერხად ითვლებოდა. სამძებრო ძალების გამოყენებამ მრავალწლიანი პრაქტიკით დაამტკიცა თვისი შედეგის უტყუარობა. არსებული ტრადიციისამებრ, ეს საქმიანობა ოპერატიულ - სამძებრო თვალსაზრისით განიხილებოდა, რის გამოც მას დღემდე არ მიენიჭა მტკიცებულებითი მნიშვნელობა. გარკვეულ წილად, მას ხლს უწყობდა ის, რომ სამძებრო მიზნებისათვის ვარგისად ითვლებოდა მხოლოდ ახალი კვალი, რის გამოც სამძებრო ძალების გამოყენება შემოიფარგლებოდა საწყისი ეტაპით (ცხელ კვალზე დამნაშავის დადევნებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებით).¹⁰⁵

1965 წელს კრიმინალისტთა ჯგუფმა შეიტანა წინადადება სუნების კონსერვაციის ხერხისა და შემდგომი გამოყენების შესახებ, რასაც ეწოდა კრიმინალისტიკური ოდოროლოგია, ანუ ოდოროლოგიური მეთოდი.¹⁰⁶

შემოთავაზებული მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს:

დიდი მოცულობის შპრიცის, შუშის ქილების ან პოლიეთილენის პაკეტების დახმარებით ჰაერი სუნის კვლებით კონსერვირდება და ინახება იმ დრომდე, სანამ შესაძლებელი გახდება სუნის კვლების მიხედვით სასამსახურო-მეძებარი ძალების გამოყენება. „როდესაც საგამოძიებო მუშაკის ხელშია რაიმე ნივთიერი მტკიცებულება - დანაშაულის ჩადენის იარაღი, საგნები და სხვა, მაშინ სუნის ამოღება არ არის საჭირო. შეიძლება უბრალოდ ეს ნივთი ჩაიდოს პოლიეთილენის ან ქლორვინილის პაკეტში და იგი ჰერმეტიკულად დაიხუროს, რათა ჰაერი სუნის მოლეკულებით არ გაიფანტოს. შემდეგ ეს საგანი შეიძლება ვაქნოსვინოთ ძალოს ნებისმიერ დროს, წელიწადნახევრის შემდეგაც კი. როდესაც შემთხვევის ადგილიდან ობიექტის ამოღება შეუძლებელია, მაშინ მათგან შპრიცის დახმარებით ამოიწოვება ჰაერი სუნის მოლეკულებითურთ და გადაიტანება ჰერმეტიკულად დახუფულ მათარებში, რომლებიც შეინახება იმ მომენტამდე, სანამ წარმოიქმნება მათი გამოყენების აუცილებლობა“.¹⁰⁷

ოდოროლოგიურმა მეთოდმა ოპერატიულ-სამძებრო მუშაობაში ძალზე სწრაფად პოვა გამოყენება და გავრცელება. უფრო მეტიც, სუნის სინჯები, აღებული გაუხსნელ დანაშაულთა

¹⁰⁴ დ.ხობელია, ოდოროლოგია, როგორც დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისმოპოვების არატრადიციული საშუალება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(8)06, გვ. 116

¹⁰⁵ დ.ხობელია, ოდოროლოგია, როგორც დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისმოპოვების არატრადიციული საშუალება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(8)06, გვ. 116-117

¹⁰⁶ შ.ფიცხელაური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005, გვ. 158

¹⁰⁷ იქვე, გვ. 158-159

ჩადენის ადგილებიდან, ჩადეს თავისებურ ოდოროთეკებში - სუნების ბანკებში - როგორც ოპერატიულ-კრიმინალისტიკური აღრიცხვის ახალი სახე. ობიექტის ამორჩევის საიმედოობა სპეციალურად ნავარჯიშევი ძალების დახმარებით ეჭვს არ იწვევს.¹⁰⁸

კვალთან მუშაობისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების გამომშვებმა მრავალმა ფირმამ ამ კომპლექტებში შეიტანა სპეციალური ჭურჭელი სუნის კვალის შესანახად (მინის ჭურჭელი - ქილა მჭიდროდ მორგებული ხუფით და სხვა).¹⁰⁹

ოდოროლოგიური მეთოდის პრობლემა არ არსებობდა ვიდრე არ დადგა მისი შედეგების მტკიცებულების სახით გამოყენების საკითხი. ოდოროლოგიური მეთოდების იდეა ეფუძნება იმას, რომ სუნის კვალის იდენტიფიკაცია შესაძლებელი გახდა არა მარტო ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარებისას (ცხელ კვალზე), არამედ საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე.¹¹⁰

ოდოროლოგიური მეთოდის მოწინააღმდეგეებმა მისი მტკიცებულებით საშუალებად ცნობის უარსაყოფად წამოაყენეს, ერთი შეხედვით, საკმაოდ მნიშვნელოვანი არგუმენტები, რაც შემდეგში გამოიხატა: ძალების გამოყენება წარმოადგენს არაპროცესუალური ხასიათის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას; ძალების ქცევას არავითარი პროცესუალური მნიშვნელობა არ აქვს და იგი არ წარმოადგენს საქმეზე სასამართლო მტკიცებულებას, რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთ მტკიცებულებას, როგორცაა მეძებარი ძალების მითითება განსაზღვრულ პირზე ან ადგილზე მითითებისას; ადამიანის სუნის ინდივიდუალობა და შეუცვლელია არავის მიერ და არაფრით არ არის დამტკიცებული; დოკუმენტის შესახებ, როგორც უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლების მიხედვით მხედველობაშია მიღებული სრულიად სხვა სახის დოკუმენტები და არავითარ შემთხვევაში - ცნობები პროცესუალური კანონით გაუთვალისწინებელ მოქმედებათა შესრულების შესახებ, რომელთა სისწორის შემოწმება არსებითად გამოძიებასა და სასამართლოს არ ძალუძთ; ცოცხალი პირების ამორჩევა სუნის მიხედვით ძალების დახმარებით დაუშვებელია, რამდენადაც ადამიანს სცემს (ამხობს) გამოძიების უუფლებო ობიექტის მდგომარეობამდე და დაკავშირებულის მისი ღირსების შელახვასთან.¹¹¹

¹⁰⁸ შ.ფიცხელაური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005, გვ. 158

¹⁰⁹ დ.ხობელია, ოდოროლოგია, როგორც დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისმოპოვების არატრადიციული საშუალება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(8)06, გვ. 117

¹¹⁰ იქვე, გვ. 117

¹¹¹ შ. ფიცხელაური. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში, თბ., 2005, გვ. 160

ოდოროლოგიის მოწინააღმდეგეთა შედავება თავს იყრის სამ განსაზღვრულ არგუმენტში: ა) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ საგამომიებო მოქმედებას არ ითვალისწინებს; ბ) სუნის თავისებურებები და თვით მოლეკულები არ აღიქმება გამომიებლისა და თანამოწმეების მიერ უშუალოდ და ამიტომ არ შეიძლება იყოს ნივთიერი მტკიცებულებები; გ) ძალის მოქმედებანი (ანალოგიის მიხედვით - ადამიანის ჩვენებები) არ შეიძლება ცნობილ იქნეს მტკიცებულების წყაროდ, რამდენადაც ძალისგან არ შეიძლება გავიგოთ, თუ რატომ ამოირჩია მან სწორედ მოცემული ობიექტი. ასევე არსებობს წინააღმდეგობა ეთიკის სფეროდან (ადამიანთა ღირსების დამცირება, რომელიც ამოსარჩევად იქნება წარდგენილი), რაც არ შეიძლება დატოვებულ იქნეს უყურადღებოდ.¹¹²

ამრიგად, ამ არგუმენტის მიხედვით არსებობს პრინციპული წინააღმდეგობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ კანონი არ იძლევა საგამომიებო მოქმედებათა გმონაკლის ჩამონათვალს. ის მხოლოდ არეგლამენტირებს ცნობილი და მოცემულ პერიოდში გამოყენებაში მყოფი საგამომიებო მოქმედებების ჩატარებას. პრაქტიკაში მრავალი მაგალითები იყო იმისა, რომ გამოიყენებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაუთვალისწინებელი საგამომიებო მოქმედებანი; მაგალითად, ამოცნობის გამოყენება ფასდებოდა, როგორც დაკითხვის სახეობა, საგამომიებო ექსპერიმენტი - როგორც დათვალაიერების სახეობა (ორივე შემდეგ შეტანილ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, როგორც დამოუკიდებელი საგამომიებო მოქმედება).¹¹³

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, სადაც საუბარია გამომიებლისა და თანამოწმეების მიერ სუნის თავისებურებების და მოლეკულების აღქმასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ამ მეთოდის მომხრენი მათ შორის პროფ. ბელკინი აღნიშნავს, რომ ვერც გამომიებელი დავერც დამსწრე სხვა პირები ზოგჯერ ვერ აღიქვავენ სხვა ობიექტებსაც, ზოგიერთ მიკროკვლებს, რომელთა მტკიცებულებითი ძალა არავითარ ექვს არ იწვევს. უფრო მეტიც, მტკიცებულებითი ძალა ხშირად აქვს იმ შინაგან თვისებებს, რომელთა უშუალო აღქმა ისევე შეუძლებელია, როგორც სუნის კვალის. მაგალითად, მტკიცებულების ძალა აქვს სისხლის ჯგუფს და არა სისხლისფერ ლაქას, მის ფორმას და ფერს, რომელთა აღქმა სავსებით შესაძლებელია.

მესამე არგუმენტის ირგვლივ საჭიროა შევეკამათოთ, რომ ნებისმიერი საქმიანობის უტყუარობა განისაზღვრება არა იმის უნართ, რომ აიხსნას პროცესის ყველა მექანიზმი, არამედ ექსპერიმენტის შედეგების ერთმნიშვნელობით (ცალსახაობით), რომელიც ჩატარებულია

¹¹² შ. ფიცხელაური. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამომიებლის პროცესში, თბ., 2005, გვ. 161

¹¹³ იქვე, გვ. 161

განსაზღვრულ ჩარჩოებსა და პირობებში, რომლებიც გამორიცხვენ ექსპერიმენტით გაუთავლისწინებელი ფაქტორების ჩარევას.¹¹⁴

რაც შეეხება ძაღლის მიერ ადამიანის ამორჩევის ეთიკურ მხარეს - გაუგებრობას იწვევს ის, რომ ერთ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებას, ძაღლის გამოყენება სავსებით მისაღებია და არავის ღირსების შემლახავიც არაა. ხოლო იგივე მოქმედება, როცა მას ეძლევა მტკიცებულებითი ხასიათი, ადამიანის ღირსების შემლახავია. დღეისათვის ოდოროლოგიური მეთოდით იდენტიფიკაცია ხდება სტანდარტული სუნის მატარებლით, ადამიანის უშუალო მონაწილეობის გარეშე, ამიტომ ეს მეთოდი ღირსების შემლახავი არ შეიძლება იყოს.¹¹⁵

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ვთვლი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოდოროლოგიის როგორც მტკიცებულების სახით მიღების მოწინააღმდეგეების შეხედულებებს უპირისპირდება ისეთი არგუმენტები, რომლებმაც შეიძლება გადაწონოს ოდოროლოგიის მოწინააღმდეგეთა შეხედულებები მტკიცებულებასთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ ჯერჯერობით ამ მეთოდის გამოყენება დარჩეს ისევე ისე როგორც არის, რადგან შეაძლებელია მაგალითად, გარკვეული დროის შემდეგ „ექვმიტანილისგან“ ამოღებული ნიმუში რომელიც უნდა შედარდეს შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნიმუშს არ ივარგოს იმის გამო, რომ იმ დროის განმავლობაში, რა დროც ინახებოდა მტკიცებულება „ექვმიტანილს“ შეეყარე ისეთი დაავადება რომელმაც შეუცვალა მის მიერ ორგანიზმიდან გამოყოფილ ნივთიერებებს სუნი, რაც უკვე საექვოს გახდის სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლის მიერ დადებითი ან უარყოფითი შედეგისათვის მტკიცებულებითი სახით მიღებას. მაგრამ, გამორიცხული არ არის დროთა განმავლობაში მეცნიერული კვლევების საფუძველზე მიღებულ იქნეს ისეთი „ეტალონი“ რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ იქნება საექვო.

VIII თავი. კვლევის შედეგები

¹¹⁴ შ. ფიცხელაური. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში, თბ., 2005, გვ. 162

¹¹⁵ დ.ხობელია, ოდოროლოგია, როგორც დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისმოპოვების არატრადიციული საშუალება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(8):06, გვ. 120

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, შეგვიძლია ვისაუბროთ იმ კონკრეტულ შედეგებზე, რომელიც კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით იქნა გამოკვეთილი.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები, პირველი არის ის, რომ ნაშრომის ანალიზისას რომელიც კონკრეტულად შეეხება კრიმინალისტიკურ ტექნიკას და მის გამოყენებას საგამომიებო მოქმედებებში, ერთ ხმად აღიშნავენ, იმის მიუხედავად, რომ არსებული ტექნიკური საშუალებები მათზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ მტკიცებულებათა მოპოვება, დამაგრება, ამოღება და დანაშაულის პრევენციაში, მაინც უპირობოთ აუცილებელია მათი განახლება. მაგალითის მოსაყვანად მარტო ფოტო და ვიდეო ტექნიკაც კი საკმარისია, რადგა მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე აპარატურა იგივე ფუნქციას ასრულებს, ციფრიული აპარატურის დანერგვამ ბერად შეამცირა ის დრო რომელიც მათ დანერგვამდე არსებულ აპარატურაზე დაფიქსირებული შედეგების დამუშავებას სჭირდებოდა - ფირის გამჟღავნება და სხვა. ასევე, ახალი ტექნიკური საშუალებების გამოგონება ან არსებულის დახვეწა სამართალწარმოებაში აუცილებელია არსებული ტექნიკური ევოლუციიდან გამომდინარე, რადგან დამნაშავეები თავიანთი საქმიანობისთვის მასიურად იყენებენ ტექნიკის განვითარებაში მიღწეულ წინსვალას, რაც ძალიან ართულებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას მტკიცებულებათა მოპოვების მიმართულებით თუ არ აყვეს ამ ტექნიკური საშუალებების განვითარების ფეხის ხმას.

შემდეგი საკითხი, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო თემაზე მუშაობისას და გამოვყოფდი არის: პოლიგრაფი, ოდოროლოგია და დნმ-ის გამოყენება სამართალწარმოებაში, მათი როგორც ტექნიკური ასევე სამართლებრივი საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული თემატიკის დამუშავებისას უშუალოდ თემაში გამოვხატე ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრებები, კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო ჩემი აზრი და განვმეორდე:

მიუხედავად მრავალი დადებითი მოსაზრებისა და ჩატარებული კვლევისა, რომლის უარყოფაც არ შეიძლება, პოლიგრაფის გამოყენებაზე გამოძიების პროცესში, სიცრუის და სინამდვილის დასადგენად, არსებობს არაერთი უარყოფითი მეცნიერულად დადასტურებული მოსაზრება მისი მეშვეობით მიღებული ინფორმაციის სანდოობისა. აქედან გამომდინარე მე ვეთანხმები იმ მეცნიერების მოსაზრებებს და ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომლის საფუძველზეც ურყოფილია პოლიგრაფის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად არ დაშვებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ოდოროლოგიას - ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ვთვლი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოდოროლოგიის როგორც მტკიცებულების სახით მიღების მოწინააღმდეგების შეხედულებებს უპირისპირდება ისეთი არგუმენტები, რომლებმაც შეიძლება გადაწონოს ოდოროლოგიის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები მტკიცებულებასთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ ჯერჯერობით ამ მეთოდის გამოყენება დარჩეს ისევ ისე როგორც არის, რადგან შეაძლებელია მაგალითად, გარკვეული დროის შემდეგ „ექვმიტანილისგან“ ამოღებული ნიმუში რომელიც უნდა შედარდეს შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნიმუშს არ ივარგოს იმის გამო, რომ იმ დროის განმავლობაში, რა დროც ინახებოდა მტკიცებულება „ექვმიტანილს“ შეეყარე ისეთი დაავადება რომელმაც შეუცვალა მის მიერ ორგანიზმიდან გამოყოფილ ნივთიერებებს სუნი, რაც უკვე საექვოს გახდის სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლის მიერ დადებითი ან უარყოფითი შედეგისათვის მტკიცებულებითი სახით მიღებას.

ზემოთ ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით დავესესხები შ.ფიცხელაურის მოსაზრებას იმის თაობაზე რომ - პრაქტიკაში მრავალი მაგალითები იყო იმისა, რომ გამოიყენებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაუთვალისწინებელი საგამომიებო მოქმედებანი; მაგალითად, ამოცნობის გამოყენება ფასდებოდა, როგორც დაკითხვის სახეობა, საგამომიებო ექსპერიმენტი - როგორც დათვალაიერების სახეობა (ორივე შემდეგ შეტანილ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, როგორც დამოუკიდებელი საგამომიებო მოქმედება).¹¹⁶

შესაძლებელია დროთა განმავლობაში მეცნიერების მიერ შემუშავებული იქნეს ისეთი თაქტიკური ან ტექნიკური ხერხები, მიღებულ იქნეს ისეთი „ეტალონი“ რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ იქნება საექვო. რაც პოლიგრაფს და ოდოროლოგიას დაუმკვიდრებს სანდოობის მაღალი ხარისხით საკუთარ ადგილს მტკიცებულებათა ნუსხაში.

რაც შეეხება დნმ-ს. დნმ-ი ადამიანის განუყოფელი ნაწილია. სადღეისოდ გენეტიკური დაქტილოსკოპია ანუ დნმ-ფინგერპრინტი გაცილებით სრულყოფილი და დახვეწილია. დანაშაულის გახსნა დნმ-ს ანალიზით არა მარტო საიმედო, არამედ ერთადერთი უალტერნატივო საშუალებაა. ანალიზისთვის იყენებენ დანაშაულის ადგილზე მოპოვებულ ბიოლოგიურ მასალას (სისხლის წვეთს, თმას, სპერმას, რბილი ქსოვილის ნაწილებს, ნერწყვს და სხვ.). რაც სრულ საფუძველს გვაძლევს იმისათვის რომ იგი ჩავთვალოთ მტკიცებულების უტყუარ სახით.

¹¹⁶ შ. ფიცხელაური. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამომიების პროცესში, თბ., 2005, გვ. 161

დასკვნა

კრიმინალისტიკური ტექნიკა არის დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებაში არამარტო კრიმინალისტების მიერ შემუშავებული, არამედ არაერთ სხვა მეცნიერებაში შემუშავებული, სამართალწარმოების ეტაპზე მტკიცებულებების მოპოვების და დანაშაულის პრევენციისათვის ტექნიკური საშუალებების და ტაქტიკურ ხერხების ერთიანი სისტემა. კრიმინალისტიკური ტექნიკის როლი ძალზედ მნიშვნელოვანია დამნაშავეობასთან ბრძოლის და დანაშაული თავიდან აცილების ყველა ეტაპზე. აქედან გამომდინარე კრიმინალისტიკური ტექნიკის განვითარებას, რაც გულისხმობს ახალი ტექნიკური საშუალებების შემუშავება და მათი ეფექტიანი გამოყენებისათვის ტაქტიკური ხერხების დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეობასთან ბრძოლაში, როგორც დანაშაულის ჩადენის შემდეგ მტკიცებულებების მოპოვებაში, ასევე დანაშაულის აღსაკვეთად მის დასრულებამდე (დანაშაულის მომზადების და მცდელობის სტადია) რა დროსაც თავიდან იქნება აცილებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომელმაც ზიანი შეიძლება მიაყენოს არამარტო კონკრეტულ პირს არამედ ზოგადად საზოგადოება და სეხელმწიფოსაც.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, საჭირო კი არ არის, არამედ აუცილებელია სამართალდამცავმა ორგანოებმა, იმ სპეციალურმა სამხსახურებმა, რომლებსაც დანაშაულთან ბრძოლაში და დანაშაულის პრევენციაში აკისრიათ მთავარი როლი, გულისყურით მოეკიდონ კრიმინალისტიკური ტექნიკის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას პირადი გამოცდილების საფუძველზე, ასევე, თვალყური ადევნონ და ეროვნულ სამართალწარმოებაში დანერგონ უცხოელი სპეციალისტების მიერ დამნაშავეობასთან ბრძოლის და პრევენციის ახალი ხერხები, რომლებიც არა მარტო გააადვილებს და დააჩქარებს დამნაშავის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემას, ასევე თავიდანაც აგვაცილებს ნებისმიერი სახის დანაშაულს პრევენციის დონეზე.

ყოველივე ზემოთ თქმულს ასევე ესაჭიროება სამართლებრივი საფუძვლების განუხრელი დაცვა, რადგან, რაც არ უნდა საუკეთესო ტექნიკური საშუალებები იქნას გამოგონილი ან ტაქტიკური ხერხები შემუშავებული, თუ არ იქნა სამართლებრივი ნორმების ჩარჩოები დაცული დამნაშავეს ვერ მოვთხოვთ პასუხს და პრევენციასაც ვერ მოვახდენთ.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. გალდინი ი.გ., დაქტილოსკოპია, მოსკოვი, 2000;
2. გოგნიაშვილი ნ., კრიმინალისტიკა, თბ., 2012;
3. გოგშელიძე რ., ფალიაშვილი ა., კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004;
4. გოგშელიძე რ., ფალიაშვილი ა., კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006;
5. გოგშელიძე რ., ფალიაშვილი ა., კრიმინალისტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2009;
6. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;
7. ლომსაძე მ., ექსპერტიზის დანისვნის საფუძველი, სახეები და ექსპერტის წინაშე დასასმელი კითხვები გამოძიების პროცესში, თბ., 2016;
8. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მე-6 გამოცემა, თბ., 2016;
9. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ.; თბ., 2015;
10. ფაფიაშვილი შ., დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, თბ., 1999;
11. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013;
12. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 1, გამომც. „ნეკერი“ თბ., 1995;
13. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2000;
14. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2010;
15. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. I, დანაშაულთა გახსნის მეთოდოლოგია და ტექნიკა, თბ., 2010;
16. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ.2, დანაშაულის გახსნის ტაქტიკა, თბ., 2007;
17. ფიცხელაური შ., სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში, თბ., 2005;

18. ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა და დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010;
19. ჭელიძე ს., თევდორაძე ნ., „პოლოგრაფი“-ს გამოყენების პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, #4, თბ., 2014;
20. ხობელია დ., ოდოროლოგია, როგორც დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისმოპოვების არატრადიციული საშუალება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(8)06;

უცხოური ლიტერატურა

1. The Polygraph and Lie Detection, Washington, 2003;

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
2. საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 2010;
3. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, 1999;

ვებ. გვერდები

1. <http://ec-dejavu.ru/p.polygraph.html>.
2. [http://Wikipedia.org/wiki/Unaited states vs Scheffer](http://Wikipedia.org/wiki/Unaited_states_vs_Scheffer),
3. <https://matsne.gov.ge/>
4. <https://mkurnali.ge/>
5. <http://mastsavlebeli.ge/>
6. <http://myadvokat.ge/>